დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: თამთა კვარაცხელია
წევრები:
სოფიო დუმბაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ელისო ვადაქარია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ლალი აბულაძე-მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ირინა გოგონაია-საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თეონა მაცაბერიძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ლამარა დარახველიძე-ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია-სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ეთერი ხობუა-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ჟანა ბელქანია-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მაკა ინაშვილი-დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	221299912

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ტყაჩირი
საფოსტო ინდექსი	5420
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tkachiri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599289306

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 25 0000544324 2025 წლის 20 მაისი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	16 და 17 ივნისი, 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყაჩირი
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყაჩირი
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ტყაჩირი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლაში 2025 წლის 16 და 17 ივნისს შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე - სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრებთან. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ, ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი კათედრის მასწავლებლებს და მოეპოვებინათ საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა სხვადასხვა დოკუმენტაცია, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს სასწავლო გარემო, ადგილზე გაეცნენ სკოლაში არსებულ დოკუმენტაციას. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ვიზიტის ორივე დღეს ჩაერთო საგნობრივი ექსპერტების შეხვედრებს, გამართა დიალოგი სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კურიკულუმების

შემუშავების, განხორციელების, გადამუშავების პროცესის შესახებ, შემოქმედებითი დავალებებისა და მოსწავლეთა შეფასებების პროცესის შესახებ; გასცა რჩევები დიფერენცირების, სხვადასხვა შესაძლებლობებისა და მზაობის მოსწავლეებთან მუშაობის შესახებ.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან, თანამშრომლურ გარემოში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება1

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 240	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლამ უნდა მოიპოვოს: 1. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 6.03.2025-6.12.2025 პერიოდში 2. უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვს გეგმა 31.05.2025-6.12.2025 პერიოდში 3. დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ 6.03.2025-6.12.2025 პერიოდში
ინდიკატორი N3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროფილის ექიმის აყვანა კანონმდებლობით დადგენილი წესით 6.03.2025-6.12.2025 პერიოდში
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლას მიეცა რჩევა: უფრო კონკრეტული და გაზომვადი გახადოს ხედვა; ხედვაში ასახოს ორგანიზაციის მისწრაფებები, ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ (7-15 წლის პერსპექტივით) ან როგორ უნდა, რომ ხედავდეს მომხმარებელი მას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლას ვურჩევთ, წლის სამოქმედო გეგმაში ასახოს არამარტო მასწავლებლის, არამედ სხვა პერსონალის კარიერული ზრდის ხელშემწყობი ამოცანების შესაბამისი აქტივობებიც.
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლას ვურჩევთ, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
ინდიკატორი №3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას	სკოლას ვურჩევთ, უსაფრთხოების მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ფიზიკურ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელ პირად არა სკოლის დირექტორის მოადგილე (მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის

		მასშტაბის გათვალისწინებით), არამედ-სხვა თანამშრომელი; სკოლამ უზრუნველყოს მისი გადამზადება.
ინდიკატორი№ 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას ვურჩევთ, ეზოს განაპირას არსებული ძველი საპირფარეშოს (დალუქულია) დემონტაჟის მიზნით მიმართოს შესაბამის ორგანიზაციებს.
ინდიკატორი №3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლას ვურჩევთ, საზოგადოებასთან პერმანენტული კომუნიკაციისთვის ხშირად განაახლოს სოციალური ქსელების გვერდზე ინფორმაციები და სრულად ასახოს სასკოლო ცხოვრება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N.4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	სკოლას ვურჩევთ, გაწეროს რემედიაციის წესი/მექანიზმები სასკოლო სასწავლო გეგმაში
ინდიკატორი №4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	სკოლას ვურჩევთ,მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სხვა საინიციატივო ჯგუფების ჩართულობით გააფართოვონ დოკუმენტურად დადასტურებული კვლევები, გამოკითხვები მოსწავლეების საჭიროებების შესახებ

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**რჩევა**
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო საგნები:** სასურველია, რომ **დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების** კურიკულუმში გაზიარებულ იქნას საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში არსებული გამოცდილება რეალური ცდების რესურსის კურიკულუმში დაფიქსირებასთან დაკავშირებით; **<u>რჩევა:</u>** სასურველია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში, განსაკუთრებით **დაწყებითი საფეხურის** ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს თემები და სამიზნე ცნებები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილებ თემების მიხედვით. **უცხოური ენები** : სასურველია გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა **სახელმწიფო ენა:** სასურველია ,გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა **სპორტი**

		სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.
N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა** კურიკულუმის ჩარჩოში თემაში განსახილველი საკითხის ფორმულირება მოითხოვს მეტ სიცხადეს.საკითხი ჩამოაყალიბეთ ისე, რომ მან შეასრულოს თემის მაორგანიზებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია. **დაწყებითი საფეხურის ექსპერტი** დაიგეგმოს უფრო მრავალფეროვანი შუალედური მიზნები, თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო საგნები** სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმებში მითითებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელო. ასევე ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი. **უცხოური ენები:** სასურველია კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური

		რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. **მათემატიკა:** იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია მასწავლებელმა იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; **სპორტი:** რჩევა: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დაემატოს გრიფირებული სახელმძღვანელოები.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**მათემატიკა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდეა ყველგან ჩამოყალიბდეს მოკლედ, გამოკვეთონ შემოქმედებითი პროდუქტი და შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტების დიფერენცირება, მოსამზადებელი პროდუქტების არჩევა. **დაწყებითი საფეხურის ექსპერტი** სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმში.

2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია განმავითარებელი შეფასებისას მეტად გაითვალისწინონ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, კათედრამ აქტიურად გამოიყენოს სოლოტაქსონომიაზე დაუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა ,რაც მეტად დაგეხმარებათ მოსწავლეთა პროგრესის თვალსაჩინოებისთვის; **სახელმწიფო ენა:** სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს , რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს დაწყებითი საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით_შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით. **დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებულიიქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა:** :სასურველია კურიკულუმებში ასახული ზოგიერთი შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს. **საბუნებისმეტყველო საგნები:** კურიკულუმში გაიზარდოს დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, შემოქმედებითი დავალებები /კომპლექსური ტიპის დავალებები გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის შესწავლისას. კურიკულუმში მიეთითოს მოსწავლეთა მიერ მოსამზადებელი შემოქმედებითი პროდუქტის ზუსტი ფორმულირება;

2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. **ესთეტიკური აღზრდა:** შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. **მათემატიკა:** სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს შეფასების რუბრიკები კურიკულუმით გათვალისწინებული ცალკეული დავალებებისთვის.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**უცხოური ენები:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.
2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი	**სპორტი**

	მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს კალათბურთი ფრენბურთის, ხელბურთის და ფეხბურთის ბურთები, რომ გაკვეთილზ შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რა ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას. **საბუნებისმეტყველო საგნები:** სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით);

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო საგნები** სასურველია, რომ კურიკულუმის შიგნით უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ბმა საკითხთა კლასტერს, შემოქმედებით პროდუქტსა და რესურსებს შორის (შემოქმედებითი პროდუქტის არსებობის შემთხვევაში) **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილებ თემების მიხედვით.

		უცხოური ენები : სასურველია გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა **სახელმწიფო ენა:** სასურველია ,გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა **სპორტი** სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.
N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო საგნები:** სასურველია, გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებებ რაოდენობა, ყოველი თემის ფარგლებში დაიგეგმოს თუნდაც ერთ კომპლექსური ტიპის დავალების განხორციელება.(ყველ საფეხურზე) სასურველია, შემოქმედებითი პროდუქტის დაგეგმვისას, მკაფიოდ მიეთითოს პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა. სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, კურიკულუმის თემებთან/ საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო გეგმები (როგორც არამხოლოდ სოციალური პროექტები) საგნობრივ ცოდნაზე აქცენტით; სასურველია საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური

		უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (კვლევა) ფორმირების მიზნით საკლუბო/საწრეო აქტივობების ფარგლებში **ესთეტიკური აღზრდა:** კურიკულუმის ჩარჩოში თემაში განსახილველი საკითხის ფორმულირება მოითხოვს მეტ სიცხადეს.საკითხი ჩამოაყალიბეთ ისე, რომ მან შეასრულოს თემის მაორგანიზებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია.
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო საგნები:** სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობებისა და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; - სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს <u>შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); - სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების</u> <u>და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების</u> <u>მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები;

		სასურველია ქიმიის ისეთ რესურსებს, როგორებიცაა სასწორი (ტექნოქიმიური, ელექტრონული) გამოყოფილი ჰქონდეს მუდმივი ადგილი; ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; რეაქტივები ინახებოდეს საკეტიან კარადებში; სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების / ლაბორატორიული სამუშაოების *სისტემურ და სისტემატურ* ჩატარებას სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატები) კატალოგი ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა; **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია კურიკულუმებში მითითებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელო. ასევე ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი. **უცხოური ენები:** სასურველია კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ

		მატერიალური რესურსი, რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში (სამივე საფეხურზე ინგლისურ და რუსულ ენებში). **მათემატიკა:** იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია იმავე პრინციპით იხელმძღვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათვალისწინების შესაძლებლობას.
2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**მათემატიკა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდეა ყველგან ჩამოყალიბდეს მოკლედ, მასწავლებლებმა გამოკვეთონ შემოქმედებითი პროდუქტი და შესაძლებელი იყოს ამ პროდუქტების დიფერენცირება, მოსამზადებელი პროდუქტების არჩევა.

2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო საგნები:** განმსაზღვრელი შეფასებებ რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთ მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია განმავითარებელი შეფასებისას მეტად გაითვალისწინონ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია კათედრამ აქტიურად გამოიყენოს სოლოტაქსონომიაზე დაუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა ,რაც მეტად დაეხმარებათ მასწავლებლებს მოსწავლეთა პროგრესის შეფასებისთვის **სახელმწიფო ენა:** სასურველია , განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს.სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს , რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით_შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.

2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**მათემატიკა:** სასურველია კურიკულუმებში ასახული ზოგიერთი შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს. **საბუნებისმეტყველო საგნები:** კურიკულუმში გაიზარდოს დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, შემოქმედებითი დავალებები /კომპლექსური ტიპის დავალებები გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის შესწავლისას. კურიკულუმში მიეთითოს მოსწავლეთა მიერ მოსამზადებელი შემოქმედებითი პროდუქტის ზუსტი ფორმულირება; საბუნებისმეტყელო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. "დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია", აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით **ესთეტიკური აღზრდა:** შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება, მეტად გამოიყენოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. **სახელმწიფო ენა:** სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის

		პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს საბაზო საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით_შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით. **მათემატიკა:** სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელი ან შემოქმედებითი დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება, თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. **დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს შეფასების რუბრიკები კურიკულუმით გათვალისწინებული ცალკეული დავალებებისთვის.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო საგნები** - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის;

		- სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); - სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; სასურველია ქიმიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა სასწორი (ტექნოქიმიური, ელექტრონული) გამოყოფილი ჰქონდეს მუდმივი ადგილი; ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; რეაქტივები ინახებოდეს საკეტიან კარადებში; - სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის

		პირობებში რეალური ცდების / ლაბორატორიული სამუშაოების *სისტემურ და სისტემატურ* ჩატარებას სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატები) კატალოგი ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა; **უცხოური ენები:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი, რომლებსაც მასწავლებლბი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **უცხოური ენები:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი, რომლებსაც მასწავლებლები იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.

2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სპორტი:** სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის და ფეხბურთის ბურთები, რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას. **საბუნებისმეტყველო საგნები:** - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის;

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საბუნებისმეტყველო საგნები:** სასურველია, რომ კურიკულუმის შიგნით უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ბმა საკითხთა კლასტერს, შემოქმედებით პროდუქტსა და

		რესურსებს შორის (შემოქმედებითი პროდუქტის არსებობის შემთხვევაში) **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილებ თემების მიხედვით. **უცხოური ენები** : სასურველია გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა **სახელმწიფო ენა:** *სასურველია ,გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა* **სპორტი** სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.
N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო საგნები:** სასურველია, გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებებ რაოდენობა, ყოველი თემის ფარგლებში დაიგეგმოს თუნდაც ერთ კომპლექსური ტიპის დავალების განხორციელება.(ყველ საფეხურზე) სასურველია, შემოქმედებითი პროდუქტის დაგეგმვისას, მკაფიოდ მიეთითოს პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა.

		სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, კურიკულუმის თემებთან/ საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო გეგმები (როგორც არამხოლოდ სოციალური პროექტები) საგნობრივ ცოდნაზე აქცენტით; :სასურველია საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (კვლევა) ფორმირების მიზნით საკლუბო/საწრეო აქტივობების ფარგლებში
2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საბუნებისმეტყველო საგნები:** - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა;

		საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია კურიკულუმებში მითითებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელო. ასევე ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი. **უცხოური ენები:** სასურველია კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი, რომლებსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. **მათემატიკა** იქიდან გამომდინარე, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია იმავე პრინციპით იხელმძრვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათალისიწნების შესაძლებლობას.
2.1.2.4	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**მათემატიკა:** სასურველია, კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდეა ყველგან ჩამოყალიბდეს მოკლედ, გამოიკვეთოს შემოქმედებითი პროდუქტი და შესაძლებელი

		იყოს ამ პროდუქტების დიფერენცირება, მოსამზადებელი პროდუქტების არჩევა.
2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო საგნები:** განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია განმავითარებელი შეფასებისას მეტად გაითვალისწინონ შედეგების მიღწევის ინდიკატორები. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია კათედრამ აქტიურად გამოიყენოს სოლოტაქსონომიაზე დაუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა ,რაც მეტად დაგეხმარებათ მოსწავლეთა პროგრესის თვალსაჩინოებისთვის; **სახელმწიფო ენა:** სასურველია , განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს.სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს , რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით_შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.

2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**მათემატიკა** სასურველია კურიკულუმებში ასახული ზოგიერთი შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს. **საბუნებისმეტყველო საგნები:** კურიკულუმში გაიზარდოს დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, შემოქმედებითი დავალებები /კომპლექსური ტიპის დავალებები გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის შესწავლისას. კურიკულუმში მიეთითოს მოსწავლეთა მიერ მოსამზადებელი შემოქმედებითი პროდუქტის ზუსტი ფორმულირება; **ესთეტიკური აღზრდა:** შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი. **სახელმწიფო ენა:** სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით. **მათემატიკა:** სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან

		შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს. **დაწყებითი საფეხურის ექსპერტი:** სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს შეფასების რუბრიკები კურიკულუმით გათვალისწინებული ცალკეული დავალებებისთვის.
2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საბუნებისმეტყველო საგნები** - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა; **უცხოური ენები:** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლბი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.

2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სპორტი** სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის და ფეხბურთის ბურთები, რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას. **საბუნებისმეტყველო საგნები** როგორც კარგი პრაქტიკა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურებზე სამივე საბუნებისმეტყველო საგნის (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) სწავლებისას გამოიყენება რეალური ცდები, რაც ასახულია კურიკულუმის რესურსებში. ამასთან: ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა;

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია წერილის სახით და აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებს, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის **მისიაა** - მოტივირებული, განათლებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეების აღზრდა. ინკლუზიური, უსაფრთხო,მზრუნველი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფით გააერთიანოს ტრადიციები და ინოვაციები. ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი და ეთიკური ღირებულებების განვითარებას. 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების შეძენით მოამზადოს ისინი თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად.

სკოლის **ხედვაა**-მოსწავლეებისათვის ხარისხიანი და თანაბარი განვითარების ხელმისაწვდომობა და სასკოლო საზოგადოების უწყვეტი განვითარება.ურთიერთთანამშრომლობით, ანგარიშვალდებულებითა და პასუხისმგებლობის გააზრებით სასკოლო საზოგადოების მდგრადობის შენარჩუნება.

სკოლას მიეცა რჩევა: უფრო კონკრეტული და გაზომვადი გახადოს ხედვა; ხედვაში ასახოს ორგანიზაციის მისწრაფებები, ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ (7-15 წლის პერსპექტივით) ან როგორ უნდა, რომ ხედავდეს მომხმარებელი მას

სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.**1.1.1.(1)ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. მისიასა და ხედვაში აღნიშნულია, რომ აკადემიურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურად უსაფრთხო გარემოში მიმდინარეობს სასწავლო პროცესში.

მასწავლებლებს, სკოლის დამხმარე პერსონალს, მთელ სასკოლო საზოგადოებას აქვს პოზიტიური, თანამშრომლობითი ურთიერთობა; სკოლაში არის სამართლიანი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, სკოლაში ბოლო რამდენიმე სასწავლო წლის განმავლობაში არ ყოფილა დისციპლინური წარმოება. ხდება წარმატებული მოსწავლეების წახალისება, მოსწავლეები ენთუზიაზმით მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო თუ სკოლისგარეშე აქტივობაში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ნიჭისა და უნარების გამოვლენას, იმართება

მოსწავლეთა შემოქმედების გამოფენა, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც ესწრებიან მშობლები. ისინი არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში და აქვთ ინფორმაცია თავიანთი შვილების წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს. სკოლაში მოქმედებს კლუბი მკითხველთა კლუბი ვითარდება თანამშრომლობა და ფორმირდება პოზიტიური სასკოლო კულტურა. **1.1.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; სკოლამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების დროს ჩატარებული კვლევა/გამოკითხვის მასალები, სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული წინადადებები; პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებითაც დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფიის განხილვა, საბოლოო ვერსიაზე შეჯერება და დამტკიცება ხდება სასკოლო თემის ჩართულობით.**1.1.1 (3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა სუბიექტი: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი; მიღებულია ჯგუფის მიერ წინადადებები, ვერსიები, ვერსიებს გაეცნენ კათედრის სხდომებზე, გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, სამასწავლებლოში და სკოლის ვებ-გვერდზე.**1.1 (4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის შემოსასვლელში, ყველა კლასსა და საჯარო სივრცეებში (დერეფნები, კაბინეტებში, სამასწავლებლოში) გამოკრულია, აგრეთვე, საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე.**1.1.1 (5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით.**1.1.1 (6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის კრების ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის მიზანია აღწეროს სკოლის სტარტეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მიდგომები, მოთხოვნების და სამუშაო პროცესები. აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის დასრულების შედეგად შემუშავებული უნდა იყოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება გუნდური მუშაობის, თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. ასევე, განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს

დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ წვდომას ყველა საჭირო ინფორმაციაზე, ჯგუფის შეხვედრების ადმინისტრირებასა და სხვა საქმიანობის მხარდაჭერას. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, დირექტორი ქმნის სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. **1.2.1 (1) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

მეთოდოლოგიის საფუძველზე სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია სტრატეგიული გეგმა, რომელი არის შვიდწლიანი, ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს წლების მიხედვით, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურას, შეფასების შედეგს. სკოლის სტრატეგიული მიზნებია:

სტრატეგიული მიზანი №1. ინსტიტუციური განვითარება;
სტრატეგიული მიზანი №2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება/განვითარება;
სტრატეგიული მიზანი №3. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;
სტრატეგიული მიზანი №4. ადამიანური რესურსის მართვა;
სტრატეგიული მიზანი №5. კომუნიკაციის გაძლიერება.

სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, აგრეთვე ,ამოცანების განხორციელების გზები, შესაბამისი რესურსები. **1.2.1 (2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის მიმართულება, რომლებიც შვიდწლიან გეგმაში არის მოცემული, შემუშავებულია დირექტორის მონაწილეობით, განხილულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ. **1.2.1 (3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**1.2.1 (4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სკოლის 7-წლიანი (2024-2031 წ.წ.) სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სკოლის 1-წლიანი (2024-2025 წ.წ.) სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია შემუშავებულია სკოლის საზოგადოების მიერ და დამტკიცებულია ბრძანებით , რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კერძოდ, სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. უფლებამოსილების დელეგირების შემთხვევაში, აუცილებელია შემსრულებელ პირს/ორგანოს გადაეცეს სათანადო რესურსები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი აქტივობის შესასრულებლად.

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამეურეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორი.

1.2.2 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა განახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის- სასკოლო თემისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს მისიას, ხედვას, სკოლის ღირებულებებს, SWOT ანალიზს, ასევე სკოლის მენეჯმენტსა და სტრუქტურას, სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც ცხრილის სახითაა გაწერილი, ასევე შეფასებისა და მონიტორინგის სისტემას, რომლითაც გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასებას ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი (დროებითი სამუშაო ერთეული), რომელსაც იხილავს პედაგოგიური საბჭო და დირექცია უწევს მონიტორინგს სამეურვეო საბჭოსთან ერთად. **1.2.2 (2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**;

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გამოქვეყნება გათვალისწინებულია საჯაროდ და ყველასთვის ხელმისაწვდომად (მაგ: პრეზენტაციის სახით წარდგენა სასკოლო საზოგადოებისთვის, სტენდზე განთავსება). **1.2.2 (3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**;

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და შვიდწლიანი გეგმის შემუშავების, ანალიზისა და შეფასების პრაქტიკა. სკოლის სტრუქტურული რგოლების მიერ ხდება ანგარიშების მომზადება, სკოლაში არსებული სიტუაციის კვლევას აწარმოებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფი, მიღებულ შედეგებს სკოლა იყენებს წლის ბოლოს ახალი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემდგომი განვითარებისთვის. **1.2.2 (4) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული**;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს პერსონალის მართვის პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურასა და პერსონალთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის მოთხოვნები ვრცელდება სკოლის ყველა პერსონალზე (დირექცია, მასწავლებლები, დამატებითი პერსონალი) თანასწორობის პრინციპების დაცვით, მათი კომპეტენციის სპეციფიკის გათვალისწინებით. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, მტუკი, ცეცხლფარეში, ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი, სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ N448 ბრძანების მეორე თავით ,, სკოლის სტრუქტურა და მართვა“ და მოიცავს შემდეგ სტურქტურულ ერთეულებს : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი,მრჩეველთა საბჭო, სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი,საგნობრივი ჯგუფის კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. კათედრის თავმჯდომარეებისა და დამრიგებლების ფუნქციები გაწერილია სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი ,, სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები“, რომელშიც განსაზღვრულია სტრუქტურის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები.სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და თანამდებობრივი ინსტრუქციებით გათვალისწინებული მოვალეობებით. მრჩეველთა საბჭო საქმიანობას ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად. განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით.

სტრუქტურული ერთეულების ოქმების შესაბამისად, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის მიხედვითაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ახსნა-განმარტების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, შესაბამისად, **3.1.1(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს სკოლის განვითარება. განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლაში გათვალისწინებულია კარიერული წინსვლის, სასკოლო საზოგადოების კოლექტივში ინტეგრაციისა და ინოვაციების წახალისების კომპონენტები, საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება; სკოლაში კვალიფიციური, პასუხისმგებლიანი, მოტივირებული, აქტიური, თანამშრომლობითი და ემპათიის უნარის მქონე კადრის მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება; ეფექტური საკადრო პოლიტიკის მეშვეობით ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შედეგიანად განხორციელება; სკოლაში დასაქმებულთა ნაყოფიერი და მოტივირებული საქმიანობის უზრუნველყოფა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არეგულირებს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდი, რომელიც სარგებლობს გაჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპით. დირექცია აქტიურად თანამშრომლობს კათედრებთან და ერთად ხდება სწავლა-სწავლების პროცესებში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, **3.1.1(2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები

- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინარული კომიტეტის არჩევაზე
- საშტატო განრიგი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლამ წარმოადგინა სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, მისიასთან და ხედვასთან შესაბამისობით. ასევე შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

სკოლა მის წინაშე მდგარი მიზნების და ამოცანებისა განსახორციელებლად, საშტატო პოლიტიკის ეფექტურად და სამართლებრივად გატარების მიზნით შტატების შევსების პროცედურას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამართლიანი პროცედურებით, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას, შენარჩუნებასა და განვითარებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სკოლის დებულებით განსაზღვრულ და სხვა ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, ასევე თანამშრომელთა მიღების წესი გაწერილია „ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების გზამკვლევში“, კერძოდ, შინაგანაწესის გაცნობა, თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციისა და კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (დახურული ჯგუფები, ელ.ჟურნალი და სხვ.) შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მოსწავლეთათვის წარდგენა (თითოეულ კლასში გაკვეთილამდე). თანამშრომლებთან ხელშეკრულების შრომითი ურთერთობის შეწყვეტის საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის, ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. დადგინდა, რომ ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი პერსონალის მართვის მექანიზმები, **3.1.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელი მასწავლებლით ჩანაცვლება,ხოლო გრძელვადიანი შვებულების საჭიროების შემთხვევაში სხვა(მოწვეულ) მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. მართვის პოლიტიკის მთავარი მიზანია სკოლის დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით. მნიშვნელოვანია, პერსონალის უწყვეტი განვითარება, პროფესიული წინსვლა, წახალისება და შეფასება. შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების გარდა, თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით მათი საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მაგალითად, კლასის დამრიგებლის ფუნქციის დაკისრება, მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფა, სხვადასხვა სასკოლო კომისიის წევრობა და სხვა. წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ (წინა დღეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი, სამუშაოს დაწყებამდე მინიმუმ 1 (ერთი) საათით ადრე), გააფრთხილოს სკოლის დირექტორი/დირექტორის მოადგილე გამოუცხადებლობის შესახებ, სამუშაო ადგილზე არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ხდება შემცვლელი პედაგოგის განსაზღვრა (ძირითადად იმავე კათედრის წევრით) შეცვლილ ან გაცდენილ გაკვეთილებზე ვინაიდან სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, **3.1.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. კონკურსის მასალებით, დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკით დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა

საკონკურსო კომისია, რომელიც შედგებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, რომლითაც ასევე განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ყველა მასწავლებლის პირად საქმეში წარმოდგენილია ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ხოლო 2020 წლის 01 ივნისის შემდგომ დასაქმებულ თანამშრომლის შემთხვევაში ასევე წარმოდგენილია ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. **შესაბამისად, 3.1.2(3) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას, მისი სპეციფიკისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ამსახველი დოკუმენტი - დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის თანამშრომელთა კვალიფიკაცია პასუხობს სკოლის საჭიროებებსა და განვითარებას. მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სკოლაში დასაქმებულია 3 წამყვანი და 16 უფროსი მასწავლებელი. სკოლაში არსებული თანამშრომელთა პირადი საქმეების გარდა, მონაცემები თანამშრომელთა შესახებ ასახულია eschool-ის საინფორმაციო ბაზაში. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია სკოლის ექიმის შტატი, სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია ორჯერ და კონკურსი არ შედგა. სკოლას დაგეგმილი აქვს კიდევ ერთხელ გამოაცხადოს კონკურსი და, როგორც აღნიშნულია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, 2025 წლის დეკემბრამდე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აიყვანოს შესაბამისი კალიფიკაციის თანამშრომელი. **3.1.2(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ საკვანძო პრინციპებს როგორებიცაა:

ა) შეფასება განვითარებისთვის და არა კონტროლისთვის - რაც გულისხმობს იმას, რომ პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას. შესაბამისად, შეფასება, იქნება ეს თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, გარეშეფასება თუ ნებისმიერი სხვა სახე, უნდა იძლეოდეს დიფერენცირებულ სურათს პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების, მათი ინტელექტუალური რესურსისა და საჭიროებების შესახებ.

ბ) გაზიარებული პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პროცესების გაუმჯობესებასა და მიზნების მიღწევაზე - რაც გულისხმობს, რომ პერსონალის მართვა ითვალისწინებს გაზიარებულ პასუხისმგებლობას სკოლის ეფექტიანობაზე, დასახული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევასა და რეალიზებაზე. სკოლისადმი ერთგულებისა და თანაშემოქმედებითობის განცდის გაძლიერებასა და ხელშეწყობაზე.

გ) მაღალი და პოზიტიური მოლოდინები სასკოლო საზოგადოებისგან - რაც მოიცავს განაწილებული მართვის სტილს, ახალისებს შემოქმედებითობას და ინოვაციურობას, ხელს უწყობს სიტუაციური ლიდერების წარმოქმნას, ქმნის სივრცეს წარმატებული გამოცდილების გაზიარებისა და წახალისებისთვის.

დ) თვითრეგულაციისა და თვითმართვის უნარების განვითარებაზე ორიენტაცია - რაც გულისხმობს ავტონომიისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობასა და წახალისებას, ეფექტური მიზნების დასახვასა და მათი შესრულების მონიტორნგსა და ეფექტიანობის შეფასებას.

ე) პრევენციაზე დაფუძნებული დაგეგმვა და მართვა - მოიცავს სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას.

წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.

შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის წესს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, **3.1.2(5) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმინობაში მოპოვებული წარმატებისათვის, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე, დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია, დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას,ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, წარმატებული გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის ძირითადად ხდება კათედრებზე, პედსაბჭოზე. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ხდება საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრების ფორმითაც, რომლის შემდეგ მასწავლებელები ერთმანეთს აძლევენ უკუკავშირს,

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
- საკონკურსო ბრძანებები
- საკონკურსო ოქმები
- თანამშრომელთა პირადი საქმეები
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი

- სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის პერსონალის შეფასება განიხილება როგორც კონსტრუქციული უკუკავშირი განვითარებისთვის, შესაბამისად შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. შეფასება კი ორიენტირებულია სისტემურ ანალიზზე. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში, ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელშიც განსაზღვრულია პერსონალის შეფასებისა და განვითარებისათვის საჭიროებათა დადგენის მექანიზმი, აღნიშნული ეხება როგორც მასწავლებელს, ასევე სხვა პერსონალს, მასწავლებლის შეფასებას ახორციელებს ხარისხის ჯგუფი, ხოლო სხვა პერსონალის- დირექტორი, წინასწარ შეთანხმებული და შემუშავებული ფორმის მიხედვით.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მე-17 მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მონიტორინგის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით, ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი პერიოდულად მართავს შეხვედრებს სკოლის პერსონალთან (მასწავლებლებთან კათედრის ჭრილში, ასევე დირექციასთან და დამატებით პერსონალთან). აღნიშნულ შეხვედრებზე ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. ანგარიშის და ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი ახალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს პროფესიული მხარდაჭერის გეგმას, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი. გამოვლენილი საჭიროება აისახება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პერსონალი წლის ბოლოს ავსებს სპეციალური თვითშეფასების ფორმას, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და ანალიზს. ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, **3.2.1 (1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. მასწავლებლები თვითშეფასებიდან გამომდინარე ადგენენ საკუთარ საჭიროებას ან ეხმარებიან კოლეგებს, თუ რა მხრივ სჭირდებათ მათ პროფესიული განვითარება. მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს (რომელთა წარმატებით გავლის დამადასტურებელი ცნობები და სერტიფიკატები პირად საქმეებშია მოთავსებული). პედაგოგები კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე უზიარებენ კოლეგებს გამოცდილებას და ეხმარებიან ერთმანეთს (ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, თიმსში მუშაობის პროცესში, ელექტრონული ჟურნალის წარმოებაში). სკოლის მიერ შექმნილ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" განსაზღვრულია, რომ სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ

განვითარებაზე ეს პროცესი მოიცავს აქტიურ კომუნიკაციას, მოსმენას და პატივისცემას. პერსონალის პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელსაც სკოლის პერსონალის საჭიროებისამებრ შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების და მხარდაჭერის გეგმა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც არის მოცემული ამოცანა-პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება. **სკოლას მიეცა რჩევა, მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში ასახოს არამარტო მასწავლებლის, არამედ სხვა პერსონალის კარიერული ზრდის ხელშემწყობი ამოცანების შესაბამისი აქტივობებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე,**

3.2.1 (2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული;

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლაში ფუნქციონირებს, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, აგრეთვე, ხარისხის განვითარების მექანიზმი. პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის თანახმად, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე - გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლას ჰყავს 16 უფროსი და 3 წამყვანი მასწავლებელი. მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას პედაგოგებს სხვადასხვა პროგრამისა თუ კურსების შესახებ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია შესაბამისი აქტივობები. კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია, თანაბრად ხელმისაწვდომია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის სურვილზე. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა, წარმოდგენილი დოკუმენტით დგინდება,რომ სკოლას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა სხვადასხვა აქტივობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა,რომ სკოლის დამხმარე კადრების ინფორმირებისა და მობილიზების მიზნით, სასწავალო წლის დასაწყისში აწყობს საინფორმაციო სახის შეხვედრებს,სადაც აცნობს სხვადასხვა საჭირო ინვენტარისა თუ დასუფთავებისთვის საჭირო ხსნარების მოხმარების წესებსა და სხვა უსაფრთხეობის წესებს. **3.2.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი-ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები. სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციას, კერძოდ, ახალ მასწავლებელს პირველივე პედსაბჭოზე წარადგენს დირექტორი და ასევე აძლევს მას საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. სკოლაში ასევე გამოყოფილია სივრცე როგორც სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში, ასევე - კომპიუტერულ ლაბორატორიაში მასწავლებლისთვის სამუშაოდ, გამოცდილების გასაზიარებლად, რაც ხელს უწყობს სოციალიზაციას. სხვა პერსონალის წარდგენა კი დირექტორის მიერ ხდება შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, რა დროსაც ახალ

თანამშრომელს გააცნობენ სკოლაში მუშაობის სპეციფიკას, დაკავებული პოზიციის სპეციფიკას და სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებსა და წესებს. ახალ თანამშომელს გასაცნობად გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უწყობს ხელს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, შესაბამისად, **3.2.1(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს:

ა) პროფესიული განვითარება როგორც ყოველდღიური მიმდინარე პროცესი;
ბ) სასკოლო საზოგადოების ურთიერთნდობა, როგორც განვითარების უპირობო საფუძველი;
პროფესიული განვითარების მიზნის მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებებით:
ა) ურთიერთგამოცდილების გაზიარებით;
ბ) პროფესიული განვითარების მიზნით, პერსონალის მიერ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვაში და განხორციელებაში, ხარისხის ჯგუფის ხელშეწყობით;
გ) სხვადასხვა სახის ტრეინინგის ჩატარებით.

იმავე დოკუმენტის თანახმად, სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმებად გათვალისწინებულია: სიგელი, ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქრების გადაცემა. სკოლის მიერ შეთავაზებული წახალისების სისტემა დასაქმებულებისთვის ქმნის მოტივაციას გამოიჩინონ ინიციატივები, იყვნენ აქტიურები და განვითარდნენ პროფესიულად. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ დააფიქსირონ რა სახის დახმარება ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების კუთხით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი გრძნობენ მხარდაჭერას დირექციის მხრიდან. **შესაბამისად, 3.2.1(5) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა

- ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები და სერთიფიკატები.
- ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების გზამკვლევი.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობები. დოკუმენტის თანახმად, სკოლაში პროცესები დაყოფილია მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებად. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები შედგება ისეთი ქვეპროცესებისაგან, როგორიცაა რისკების შეფასება, შემოწმების განხორციელება,დასკვნის შედგენა და უკუკავშირი. სკოლის

მართვის მთლიანი პროცესი მოიცავს ფორმალური და არაფორმალური განათლების განვითარებისთვის დაგეგმილ საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობელთა ჩართულობის გაზრდას, რაც რეგულირდება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციით: სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, ხელშეკრულებები. ვინაიდან სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი, შესაბამისად, **3.3.1(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები სკოლას გაწერილი აქვს დოკუმენტში, აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს გააზრებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და შემუშავებული დოკუმენტაცია მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ რეგულაციებს. შესაბამისად, **3.3.1(2) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტი, აგრეთვე, ითვალისწინებს სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, პერსონალის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურას. საჩივრის მიერ განხილვის ეფექტურობისთვის მოქმედებს სამეურვეო საბჭო და დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, საკონკურსო დებულებით გათვალისწებულია შედეგების გასაჩივრების წესი და მექანიზმები, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული და სამართლიანი გარემოს შექმნას. როგორც სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, დაუშვებელია მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა. თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. ვინაიდან სკოლას დეტალურად აქვს განსაზღვრული თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა, აღნიშნულიდან გამომდინარე, **3.3.1(3) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. პერსონალისა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას

შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ყველა მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან გაფორმებულია ხელშეკრულება. **აღნიშნულიდან გამომდინარე, 3.3.1.(4) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები
- მშობელთან დადებული ხელშეკრულებები
- ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადიბასთან დაკავშირებული ინსტრუქციები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება მშობელთა კრებებები, რომლებზეც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შესახებ და წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა საკითხზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქმით დგინდება, რომ სკოლა მშობლებსა და მოსწავლეებს დამრიგებლების მეშვეობით აცნობს ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. სკოლის სიახლეები დროულად განთავსდება სკოლის შესასვლელსა და სამასწავლებლოში არსებულ საინფორმაციო დაფებზე **3.3.2(1) ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

-სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი;

-პედაგოგიურ საბჭოში შედიან საგნის მასწავლებლები და სპეციალური მასწავლებლები;

-საგნობრივ კათედრებში გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ შემაჯამებელი დავალებების ანალიზს;
-დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.
-მოსწავლეთა თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს, ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირებას, გეგმავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, პროექტებს, გამოფენებს და სხვა.
-სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს;
-სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.
ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, **3.3.2(2) ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას**

სკოლის ტერიტორიაზე: დერეფნებში, გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა. სულ შენობის შიგნით 18 ვიდეოთვალია და გარეთ -6 . სკოლის შენობაში შემოსვლა შესაძლებელია სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი ტექპერსონალის საშუალებით. გარეშე პირთა შემოსვლა და გასვლა კონტროლდება ჟურნალში შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებითა და ხელმოწერით. კამერების ჩანაწერები გროვდება მანდატურის ოთახში არსებულ კომპიუტერში და ისახება ეკრანზე. სკოლას არ ჰყავს მანდატური, სკოლის დირექციამ მანდატურის მოთხოვნის წერილზე მიიღო უარი (ვინაიდან ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლას არ ჰქონია დისციპლინური გადაცდომის შემთხვევები). დირექტორის მოადგილე განსაზღვრულია ფიზიკურ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელ პირად. სკოლას მიღებული არ აქვს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან, აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნით სკოლამ მიმართა სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, რადგანაც 2024 წლის 01 ოქტომბერს დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და შენობა-ნაგებობის მდგრადობის, სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობისა და აზომვითი ნახაზის შესახებ ბოლო დასკვნები გადაეცა აღნიშნულ უწყებას. სკოლამ მიმართა, აგრეთვე, უფლებამოსილ ორგანოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია: სკოლამ უნდა მოიპოვოს:

1. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 6.03.2025-6.12.2025 პერიოდში
2. უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვს გეგმა 31.05.2025-6.12.2025 პერიოდში
3. დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ 6.03.2025-6.12.2025 პერიოდში

სკოლას მიეცა რჩევები: ა) აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; ბ)სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვროს ფიზიკურ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელ პირად არა სკოლის დირექტორის მოადგილე (მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მასშტაბის გათვალისწინებით), არამედ-სხვა თანამშრომელი; სკოლამ უზრუნველყოს მისი გადამზადება.
ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად არის დაკმაყოფილებული

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

2025 წლის 5 მარტს დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით, განსაზღვრულია სკოლის ექიმის საშტატო ერთეული და სკოლის მიერ ორჯერ გამოცხადებულია ექიმის ვაკანსია, კონკურსი არ შედგა. სკოლა გეგმავს, მესამედაც გამოაცხადოს ვაკანსია და ახალი სასწავლო წლის დადგომამდე აიყვანოს ექიმი ან ექთანი (კანონმდებლობით დადგენილი წესით). ექიმის ოთახი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ვინაიდან სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აქვს გაწერილი, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოაგვარებს პრობლემას, **სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** სკოლამ აიყვანოს შესაბამისი პროფილის ექიმი კანონმდებლობით დადგენილი წესით 31.05.2025-6.12.2025 პერიოდში

ინდიკატორი 3.4.1.2. მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია გარეშე პირების გადაადგილება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს მორიგე მასწავლებელი. და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ტექპერსონალის წარმომადგენელი (დამლაგებელი); დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სკოლის შიდა სივრცესა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლაში მოქმედებს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი. **ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას. არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას. მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას. მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევას. მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. იმართება ბულინგის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები (პროექტი, კლასის საათი).**ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სტანდარტის შესაბამისად დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლას ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფს შენობის დასუფთავებას. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება დადებული შესაბამის ორგანიზაციასთან, რომელიც პერიოდულად ატარებს სადეზინფექციო, სადერატიზაციო სამუშაოებს როგორც შენობაში, ასევე -ზაფხულის პერიოდში სკოლის ეზოშიც. სკოლას აქვს სანდასუფთავებისთვის საჭირო რესურსები საკმარისი რაოდენობით და უსაფრთხოდ დაცული. სკოლაში არის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა და სკოლა სარგებლობს წყაროს წყლით, საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების („წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში") გათვალისწინებით , აუცილებელია სასმელად გამოყენებული წყალი იყოს შეფასებული შესაბამისი კომპეტენტური სამსახურების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასმელად ვარგისიანობაზე, დირექტორთან გასაუბრებით სასმელი წყლის ვარგისიანობა ბოლოს გადამოწმდა და დადასტურდა 2024 წელს , რისი დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლამ წარმოადგინა. **3.4.1.5. ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი; სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს, აღნიშნული ვლინდება მშობლებთან და მასწავლებელთან დადებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლეებისა და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. სკოლის ელექტრონულ ჟურნალში შესასვლელად მომხმარებელს (მოსწავლეს, მასწავლებელს) აქვს საკუთარი პაროლი, რომელიც ცნობილია მხოლოდ მფლობელისათვის. სკოლა ჟურნალში წარმოდგენილ ინფორმაციას ამუშავებს და აწვდის დაინტერესებულ პირს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. იგივე მიდგომა არის e- School-ის ბაზასან მიმართებით, წვდომა აქვს სკოლის დირექტორსა და საქმისმწარმოებელს, რაც განსაზღვრულია მათ უფლება-მოვალეობებში. არსებულ მონაცემებს იყენებენ მხოლოდ შესაბამისი ოპერაციის შესრულების პროცესში. პირადი საქმეების წარმოებასა და დაცვაზე პასუხისმგებელი, გარდა საქმისმწარმოებლისა, არის დამრიგებელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათ მიერ მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეტანას პირად საქმეებში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ **მონაცემთა დაცვის ოფიცერი-რესურსცენტრის თანამშრომელი 3.4.1.6. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საქმისწარმოებელი, რომელიც პასუხისმგებელია პედაგოგთა და მოსწავლეთა მონაცემების შენახვასა და დაცვაზე შესაბამისად **3.4.1.7. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლას აქვს შემუშავებული სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, პროცესებზე დაკვირვების სტრუქტურული მექანიზმები, შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება მყისიერი რეაგირება საჭირო ცვლილებების განხორციელების მიზნით. გასაუბრების შედეგად ცნობილი გახდა, რომ სკოლა გეგმავს შეფასებასა დამონიტორინგის აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებას. **3.4.1.8. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილი ექსპერტიზაზე
- პერსონალთა მონაცემების დაცვა
- დოკუმენტები ექიმის ვაკანსიის შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის შენობა სრულიად რეაბილიტირდა და სწავლა ახალ შენობაში განახლდა 2024 წლის 1 ოქტომბერს. სკოლა ორსართულიანია, გათვლილია 240 მოსწავლეზე. სკოლას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტიდან, საკადასტრო კოდი-29.17.35.002. მიწის საერთო ფართი შეადგენს 23192 კვ.მ, შენობის საერთო ფართი- 1142,2 კვ.მ. სკოლაში არის 6 საკლასო ოთახი, 2 ლაბორატორია, დირექციის 1 ოთახი, 1 სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ექიმისა და მანდატურის ოთახები, 2 გასახდელი და შიდა სპორტული დარბაზი. სკოლა აღჭურვილია ახალი სასკოლო ავეჯითა და ასაკის შესაბამისი 165 მერხით. სკოლას აქვს 2 პერსონალური კომპიუტერი, 32 ახალი ლეპტოპი, 3 პროექტორი. სკოლას აქვს პანდუსი, ლიფტი (თუმცა არ ჰყავს შშშმ პირი), პირველ და მეორე სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც. სკოლის შენობაშია სპორტული დარბაზი, რომელიც არასასწავლო დროს არის გაცემული იჯარით ცეკვის სტუდიისათვის და წარმოადგენს სკოლისათვის დამატებით ფინანსურ შემოსავალს. სკოლა თბება ცენტრალური გათბობით ბუნებრივი აირის საშუალებით, მარაგდება წყლითა და ელექტროენერგიით, ასევე სკოლას აქვს თანამედროვე ბიოსაკანალიზაციო სისტემა. სკოლის ეზო დამატებით საჭიროებს მოწესრიგებას. სკოლის ეზოშია გარე სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს სრულ რეაბილიტაცი**. 3.5.1.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სკოლის ეზოს განაპირას არის ძველი საპირფარეშო, რომელიც დალუქულია და დაცულია, სკოლას მიეცა რჩევა, მიმართოს შესაბამის ორგანიზაციებს და მოახდინოს შენობის დემონტაჟი.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის შენობაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.სკოლის დირექციის მიერ თითოეული კათედრისთვის (სულ 7 კათედრაა) გამოყოფილია ლეპტოპი, რომელიც ხელმისაწვდომია კათედრის თითოეული წევრისთვის. ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვს სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს. თემის მიერ არასასწავლო პერიოდში ხდება სკოლის შიდა და გარე სივრცის გამოყენება (სასოფლო თემი სკოლად იყენებს არჩევნებისათვის). შენობის ორივე სართულზე არის სველი წერტილები გოგონებისაათვის და ვაჟებისათვის, ასევე ორივე სართულზე არის სსსმ მოსწავლისათვის. სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ლაბორატორიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის **3.5.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკარის საქმიანობა განისაზღვრება დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციათა აღწერით“,ამჟამად ბიბლიოთეკში არის როგორც სასწავლო, ასევე კლასგარეშე საკითხავი და სამეცნიერო წიგნები და ჟურნალები. ასევე წიგნად ფონდში არის დაზიანებული წიგნები, რომელიც ჩამოსაწერია. სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე და მიუხედავად ოთახის ფართის სიმცირისა, ყველა პირობას ქმნის ადგილზე მუშაობისთვის. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში წარადგენს სასწავლო წლის სამუშაო გეგმას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ახალი წიგნების გამოფენა, დაგვიანებული წიგნების დაბრუნების უზრუნველყოფა, ღონისძიებების ჩატარება და სხვა.იწარმოება 3 საინვენტარო წიგნი (სასწავლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების, მასწავლებელთათვის მიღებული ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების და მეთუდური წიგნების გაცემის; დამრიგებელზე გაცემული პროგრამული წიგნები და ინდივიდუალურად პედაგოგებისათვის საჭირო წიგნების გაცემა; მოსწავლეებსა და პედაგოგებზე გაცემულ კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურის გაცემა.) მხატვრული ლიტერატურა დალაგებულია ანბანური კლასიფიკაციის შესაბამისად, წიგნები დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით.მოსწავლეები სარგებლობენ მკითხველის ბარათით, სადაც აღირიცხება გატანილი და შემოტანილი წიგნები.საქმისმწარმოებლისგან მოსწავლის გადასვლის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დამრიგებელთან ერთად უზრუნველყოფს გადასული სკოლის მოსწავლისაგან სახელმძღვანელოების სკოლისთვის დაბრუნებას.**3.5.1.3 .ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

შენობა არის სრულად რეაბილიტირებული და აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს (აქვს პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები შენობის ორივე სართულზე, ლიფტი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო კაბინეტები) ამ ეტაპისთვის სკოლას 3 სსსმ მოსწავლე ჰყავს და აქვს რესურს ოთახი. **5.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, სადაც იმართება აქტივობები. სკოლა ღონისძიებებისთვის აქტიურად იყენებს სპორტულ დარბაზს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. სკოლის ეზოში განთავსებულია ეზოს სკამები,მოწყობილია ფანჩატურები, სადაც შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებს და პედაგოგებს საშუალება ეძლევათ, დაისვენონ რეკრეაციულ სივრცეში.სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით. **3.5.1.5 .ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო რესურსების მიღება-ჩაბარების აქტები
- ბიბლიოთეკის ფუნქციონირების დებულება
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აზომვითი ნახაზი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა ცდილობს სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენოს ტექნოლოგიები და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეთათვის, ისე - სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია ისტ-ის პედაგოგი. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა (3 პროექტორი, 3

პრინტერი, 2 მოქმედი პერსონალური კომპიუტერი, 32 ლეპტოპი),რაც შესაძლებელს ხდის ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. **3.6.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების მოსასმენად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის ისტ-ის პედაგოგი. სასწავლო სივრცეში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში და მანდატურის ოთახში დამონტაჟებულია ინტერნეტწერტილი, გამაძლიერებლები დამონტაჟებულია ორივე სართულზე. ინტერნეტის ხარვეზით მოწოდების შემთხვევაში, სკოლა მიმართავს ტექნიკური მომსახურეობის ცხელ ხაზს. სკოლას ემსახურება IT სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურულ გამართულობას. **3.6.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• ფინანსური დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები)

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები

სისტემატიზებულია შემდეგი პრინციპით: ბრძანებები ძირითად საქმიანობაზე,ბრძანებები მოსწავლეთა მოძრაობაზე, ბრძანებები პირად შემადგენლობაზე, ადმინისტრაციული სახის ბრძანებები (შვებულებები, მივლინებები, პრემიები,წახალისება და სხვა). ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს შემოსული და გასული კორეცპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობასა და საჯაროობაზე.

3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება. **3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე .**3.6.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლაში მოქმედებს ანგარიშგებისა და თანამშრომლობის წესი. ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო. სკოლაში ტარდება სამეურვეო საბჭოს სხდომები, რომლებზეც ხდება საჭიროების შესაბამისი საკითხების განხილვა, შეთანხმება, დამტკიცება. დგება შესაბამისი ოქმები და ინახება მატერიალურად. ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.**3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სკოლას ვებგვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია სკოლის შესახებ, აღნიშნულის გათვალისწინებით ვებგვერდი იძლევა საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. სკოლას აქვს სოციალურ ქსელში Faceebok-ზე გვერდი. **სკოლას მიეცა რჩევა საზოგადოებასთან პერმანენტული კომუნიკაციისთვის ხშირად განაახლოს აღნიშნულ გვერდზე ინფორმაციები და სრულად ასახოს სასკოლო ცხოვრება. 3.6.3.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სადამრიგებლო საათებსა და კრებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების შესახებ არის სანდო. ინფორმაციის განთავსება დავალებული აქვს სკოლის უცხოური ენის პედაგოგს. **3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის განსაზღვრული პირები აგროვებენ ინფორმაციას, უკუკავშირს და აწვდიან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.**3.6.3.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას მოქმედი ვებ გვერდი აქვს, იგი სარგებლობს skolebi emisi.ge-ს გვერდით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია, სკოლას აქვს სოციალური ქსელი (https://www.facebook.com/profile.php?id=100087682129208&sk=about), რომლებზეც სკოლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა.**3.6.3.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია.ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ გვერდი სრულად შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ.

3.6.3.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- skolebi.emis.ge
- სოციალური გვერდი „ტყაჩირის საჯარო სკოლა“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს და შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურებას. ამ ეტაპზე სკოლას ვაუჩერული დაფინანსების გარდა აქვს იჯარით მიღებული შემოსავალიც. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება **3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სკოლის ფინანსური გეგმა**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიას წარმოდგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებული და შეთანხმებულია სასკოლო საზოგადოებასთან, რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე ის ღონისძიებები, რასაც სკოლა ატარებს საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის დაცვის კუთხით. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშვება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომესაც შეუძლია მიმართოს მოსწავლემ ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა რეფერირების მარეგულირებელი დოკუმენტი, სკოლას აქვს მოსწავლის რეფერირების პრაქტიკა.. მოსწავლეთა უფლებების ერთ-ერთი დამადასტურებელია სკოლაში თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც იმართება ყოველი წლის ოქტომბრის თვეში. თითოეული კლასი საბაზო და საშუალო საფეხურზე ფარული კენჭისყრით ირჩევს სასურველ კანდიდატს, რომელიც იღებს მონაწილეობას არჩევნებში. მოსწავლეთა თვითმართველობის ინიციატივით ხორციელდება პროექტები. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ ეკუთვნის უფრო მაღალი შეფასება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია სემესტრის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს, რომელიც განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. **4.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფები და სადაც გაკრულია სკოლის შინაგანწესი და სხვა სასკოლო საზოგაოდების ინფორმირებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია. ამასთანავე დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოიკვრება დერეფანში სასწავლო წლის დასაწყისშივე და საჭიროემისამებრ სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში განხორხორციელდება ცვლილებები. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებისთვის მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით საკითხები განიხილება კლასის საათზე, ხოლო მოსწავლის მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების შემთხვევაში საერთო კრებაზე, ან ინდივიდუალურად.**4.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლის უფლებება-მოვალეობები. ხელშეკრულება იდება ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა კანონიერ წარმომადგენელს, რომელშიც გაწერილია მათი უფლება მოვალეობანი, სკოლის მოთხოვნები და ვალდებულებები უსაფრთხოებასა და კონფედეციალობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება მშობელთან ფორმდება მოსწავლის ჩარიცხვისას და ძალაშია სწავლის დასრულებამდე ან მოსწავლის ამორიცხვამდე/სტატუსის შეჩერებამდე. იგი გამჭვირვალე და მკაფიოა. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დამრიგებლი აცნობს საერთო კრებაზე ან ინდივიდუალური შეხვედრის დროს. **4.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სკოლის სასწავლო სასკოლო გეგმა
- ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის აღმწერი დოკუმენტაცია, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.სკოლის დირექტორთან გასაუბრებით პირველკლასელთა მიღებისა და საკოლო სივრცეში ადაპტირებას ,სხვა ადმინისტრაციის წევრებთან ერთად უზრუნველჰყოფს კლასის დამრიგეგებლი . **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების

შესაბამისად. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლის დირექტორის 2024 წლის 27ივნისის N2-49 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა მობილობის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს განსაზღვრული ფასიანი დამატებითი მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები. დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყველა ინფორმაცია სასკოლო მომსახურების შესახებ მშობლებს მიეწოდებათ მშობელთა კრებებზე და დახურულ სოციალურ ჯგუფებში, ასევე ეს ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფებზე, გარდა ამისა სკოლის თვითმმართველობა პერიოდულად აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებისათვის, სადაც ხდება ინფორმაციის მიწოდება და ასევე მოსწავლეებისგან სხვადასხვა სახის მოთხოვნებისა თუ საჭიროებების განსაზღვრა. **4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ საინფორმაციო დაფებზე და ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. არადისკრიმინაციულია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ტარდება ღონისძიებები, აქტივობები, რომელთა შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ძირითადად ზეპირსიტყვიერად. მეორე უცხო ენისა და არჩევითი საგნების შეთავაზება და შემდგომ არჩევა ხდება მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენელის მოთხოვნის სრული გათვალისწინებით. **4.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩრების, აღიარების ბრძანებები.
- მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხოური ენის არჩევაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში დამტკიცებულია სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყარჩელის საჯარო სკოლის მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასკოლო მზაობას, კლასის დამრიგებლის, მშობლის როლს. ღონისძიებებს და აქტივობებს სასკოლო ღონისძიებებს სამივე საფეხურის მოსწავლეები ერთობლივად ახორციელებენ. ეს შეეხება ანბანის ზეიმსაც, რომელსაც პირველი კლასი აწყობს სასწავლო წლის ბოლოს და ამ ღონისძიებაზე სპეციალური მოსაწვევებით იწვევენ მომავალ პირველკლასელებს. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ემზადება მოსწავლეთა დასახვედრად, განსაკუთრებით მასპინძლობენ პირველკლასელებს ცოდნის ზეიმზე. **4.2.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, განსაზღვრავს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირება, ამიტომაც ის დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას და გააადვილოს სასწავლო პროცესში პირველკლასელთა და სხვა სკოლიდან/უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამავე დოკუმენტით ირკვევა,რომ ეს მექანიზმი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსწავლეს სხვა მიზეზებითაც აქვს სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. სკოლაში გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი ეცნობა და აცნობს თანაკლასელებს, ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უხსნის როგორ გამოიყენოს გარემო ოპტიმალურად, ავსებინებს მოსწავლეს ან მშობელს (ასაკის გათვალისწინებით) კითხვარს ახალი მოსწავლის უკეთ გასაცნობად, პირველკლასელის შემთხვევაში, ყურადღებით ეცნობა ბაღის მასწავლებლისგან მოსწავლის დახასიათებას (არსებობის შემთხვევაში), რათა ზოგადი წარმოდგენები შეექმნას მოსწავლეზე და სკოლა დაეხმაროს მას, საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე, მათ მშობლებზე.**4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა მხარდაჭერაზე აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც იყენებს განმავითარებელ შეფასებას/თვითშეფასებას, უკუკავშირს ზეპირი თუ წერილობითი კომენტარებითა და რეკომენდაციებით. თუ მოსწავლეს აქვს სირთულეები სწავლის მხრივ, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, მულტიდისცილინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მოხდება ინკლუზიურ განათლებაში ჩართვა. სასკოლო პროექტების განხორციელებისას ხდება მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და ინტერესების გათვალისწინება, შემაჯამებელი დავალების აღდგენა შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში. მოსწავლეთა გაცდენებით გამოწვეულ აკადემიური ჩამორჩენის დროს მასწავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ მათთან, რათა დაძლეულ იქნეს ეს ჩამორჩენა. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე. **სკოლას მიეცა რჩევა: გაწეროს რემედიაციის წესი/მექანიზმები სასკოლო სასწავლო გეგმაში**

4. 2.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა ახორციელებს სრულყოფილ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სკოლაში სწავლობს 3 სსსმ მოსწავლე , შექმნილია ისგ ჯგუფი, სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, გამოყოფილია რესურსოთახი სადაც ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამა. მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უნდა ხორციელდებოდეს. ამიტომ სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებისა და მათ მშობლების/კანონიერ წარმომადგენლებისათვის მკაფიოდაა მიწოდებული უფლება ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. მოსწავლემ და მისმა მშობელმა/ კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერი კლასის მოსწავლის მობილობა შეწყვეტილია 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ მოსწავლე და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. შესაძლებელია ექსტერნატის ფორმით კლასის ან საგნის დაძლევა, აღნიშნული ბრძანება განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეს უფლება აქვს დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობისგან. **4.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლას ჰყავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი მასწავლებლები მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებას, სასწავლო ექსკურსიებს; სკოლის თვითმართველობა აქტიურად არის ჩართული

სასკოლო ცხოვრებაში, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განხორციელდა არაერთი აქტივობა და პროექტი. სკოლა ჩართულია და არაერთ ღონისძიებას ახორციელებს სარაიონო მასშტაბით და აქვთ წარმატებებიც როგორც სპორტულ, ასევე ინტელექტუალურ შეჯიბრებებშიც. **4.2.1.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის სტუდია, რომელიც მოსწავლეთა და მშობელთა მოთხოვნის საფუძველზე იყო შექმნილი. სკოლის თვითმმართველობის მიერ შექმნილის „მკითხველთა კლუბი'', რომელიც ხელს უწყობს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში გაწაფული კითხვისა და წაკითხულის გააზრების განვითარებას. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები, რომლებითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნების სწავლებაც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხდება.
დირექტორის განცხადებით, სკოლა ცდილობს, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის საშუალებით, წარმოდგენილი იყო მოსწავლეებისა და მშობლებისთვის კითხვარები და გამოკითხვის შედეგები; რაც ახდენს მოსწავლეთა და მშობელთა მოლოდინებისა და ინტერესების იდენტიფიცირებას და მათ გათვალისწინებას სასწავლო პროცესში; ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. დირექტორის აღწერით სკოლაში არსებობს მშობლებთან საინფორმაციო ჩატარების პრაქტიკა, მათ შორის მოსწავლეთა აზრის გაგებისა და შეფასების მიმართულებით, ამიტომ პერიოდულად ტარდება ზეპირი გამოკითხვები, ზეპირი ინტერვიუირება იმ მიზნით, რომ ბავშვებს შეეძლოთ, სურვილის შემთხვევაში, გაუზიარონ თავიანთი აზრი მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. გარდა ამისა, დამრიგებლების მიერ ხდება მოსწავლეთა იდეების მიღება და შემდეგ გაზიარება. აღნიშნული გამოკითხვები ტარდება როგორც ზეპირად, ასევე-წერილობით. **4.2.1.6. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- იჯარის ხელშეკრულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეთა მიერ კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ამაღლების კუთხით მუშაობენ კლასის დამრიგებლები. სადამრიგებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა მიერ პროფესიებზე ნათელი წარმოდგენის შექმნა, გააცნობიერონ ეფექტური გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა პროფესიის არჩევის დროს, შეძლონ აირჩიონ მათთვის შესაბამისი პროფესია საკუთარი შესაძლებლობებისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით. სკოლის წარმომადგენლობასთან გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის რესურსცენტრი აწყობს საინფორმაციო შეხვედრებს, სკოლას სტუმრობენ სხვადასხვა პროფესიული სასწავლო დაწესებულებების წარმოადგენლები. გარდა ამისა, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან სკოლაში ადგილზე ხდება საინფორმაციო შეხვედრები, ტოვებენ საინფორმაციო ბუკლეტებს. შემდეგ კი პედაგოგები დეტალურ ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს ამა თუ იმ პროფესიის თუ უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. **4.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; **4.2.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

დირექციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლის პრიორიტეტია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნით ხშირად საუბრობენ სასკოლო საზოგადოებასთან. საუბრის ანალიზის შედეგებს ითვალისწინებენ შემდგომი მუშაობის მანძილზე. ასევე მოსწავლეთა ინტერესები და მათი საჭიროებები იქნა გათვალისწინებული, მომდევნო სასწავლო წლიდან (რეაბილიტირებული შენობა იძლევა ამის საშუალებას) აქტიურად დაინერგება საკლუბო მუშაობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლას აქვს კვლევებისა და გამოკითხვის ელექტრონულად ან წერილობით წარმოების გამოცდილება, ამიტომ **სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სხვა საინიციატივო ჯგუფების ჩართულობით გააფართოვონ დოკუმენტურად დადასტურებული კვლევები, გამოკითხვები მოსწავლეების საჭიროებების შესახებ. 4.2.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მე-9 და მე -11 კლასის დამრიგებლის ოქმები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. ამ ეტაპზე არის 3 სსსმ მოსწავლე და უფროსი სპეციალური მასწავლებელი, დირექტორის აქტის საფუძველზე განისაზღვრა ისგ-ს ჯგუფის წევრები, შემუშავებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, მოსწავლეზე დაკვირვებით ეტაპობრივად ხორციელდება შეფასება (სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში) და შექმნილია ისგ- გუნდი (კლასის დამრიგებლის, მშიბლისა და ყველა მასწავლებლისგან) გაწერილია ისგ, თან ერთვის ყველა იმ მასწავლებლის საგნობრივი გეგმა, რომელშიც მოსწავლეს სჭირდება ისგ. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, მშობელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში დირექტორის და ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრების მიერ. სკოლის შენობაში გათვალისწინებულია სივრცე - რესურსოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და სასწავლო **4.2.3.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

   სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლის და განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სსსმ მოსწავლეები ფასდებიან სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სკოლაში შეიქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აფასებს ისგ ჯგუფების მუშაობას და ახორციელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგს. **4.2.3.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სსსმ მოსწავლესათვის ისგ- ჯგუფის შექმნის ბრძანება

- სსსმ მოსწავლის ინივიდუალური სასწავლო გეგმები
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არ ხორციელდება დამატებითი მომსახურებები. **4.2.4.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

არ ხორციელდება დამატებითი მომსახურებები. **4.2.4.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

არ ხორციელდება დამატებითი მომსახურებები. **4.2.4.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საგანმანათლებლო საფეხური**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საგანმანათლებლო საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის დირექციამ და საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებმა სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავეს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს,რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი.დოკუმენტი გაზიარდა კათედრების სხდომებზე. კათედრების მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტი წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გეგმავს დოკუმენტის რევიზიას სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების და მშობლების აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.სკოლის დირექციის მიერ გათვალისწინებელი იქნება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვა, გამოცდილება და უკუკავშირები, სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები, შეხვედრები მშობლებთან როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი ფორმით. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ინტერესები, აქტუალური საკითხები გათვალისწინებული იქნება და მოერგება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები,ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს აგრეთვე ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს.სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საფეხურების მიხედვით შეადგინეს კურიკულუმი სასწავლო საკითხების, თემების და შემოქმედებითი პროდუქტის დავალებების ცნებების მიხედვით. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგების მხრიდან ხდება განხორციელებული აქტივობებისა და მუშაობის პროცესის გაანალიზება და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით

დაიგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გაგება-კვლევისათვის პედაგოგებმა სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარეს მშობელთა კრებები და ზეპირი გამოკითხვის გზით გაიზიარეს მშობელთა მოსაზრებები ბავშვების ინტერესების შესახებ. შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციების, მშობელთა აზრის გათვალისწინებით კათედრებმა შეიმუშავა საგნის კურიკულუმები. სამომავლოდ დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის დაინერგოს ელექტრონული ფორმით გამოკითხვა. აღნიშნული მეთოდი დაეხმარება პედაგოგს უფრო სწრაფად და ეფექტურად შეიტყოს მოსწავლეთა,მშობელთა და კოლეგათა ინტერესები,საჭიროებები. შესაბამისად გამარტივდება მონაცემების გაანალიზება და მათი გამოყენება სასწავლო კურიკულიმის შემუშავებისას.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კათედრების ხელმძღვანელები კათედრების სხდომებზე განიხილავენ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, აგროვებს კათედრების წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და მონაწილეობას იღებს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების მოსაზრებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებულია 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და გამომდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ შექმნილი მისიიდან, ხედვიდან და ღირებულებებიდან. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლაში მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა, სიახლეების გაცნობა და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა კლასისა და საერთო კრებებზე. სკოლას შექმნილი აქვს სოციალური ქსელი, სადაც ზიარდება სკოლაში ჩატარებული აქტივობები. სკოლამ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ერთ-ერთ აქტივობად დაგეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის გაცნობა მშობლებისთვის. სკოლაში არსებობს, სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის ზეპირი/სიტყვიერი ფორმა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრების სხდომების ოქმები.

· მშობელთა კრებების ოქმები.

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. წარმოდგენილ საგნობრივ - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია - კურიკულუმებში მოცემულია: 1) შესაბამისი საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, 2) სამიზნე ცნებები; სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია ქვეცნებები, რომლებიც საკითხთა კლასტერს უკავშირდება; 3) საკითხთა კლასტერი (გრიფირებული სახელმძღვანელოს საფუძველზე); 4) შემოქმედებითი პროდუქტი, 5) სასწავლო რესურსები, ძირითადად, გრიფირებული სახელმძღვანელოს პარაგრაფები, ელექტრონული რესურსები (ლინკების მითითებით) და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვიანი და აღსანიშნავია, სკოლაში აპრობირებული და რელევანტური რეალური ცდების მასალები და მოწყობილობები; <u>**რჩევა:**</u> სასურველია, რომ **დაწყებითი საფეხურის** ბუნებისმეტყველების კურიკულუმში გაზიარებულ იქნას საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში არსებული გამოცდილება რეალური ცდების რესურსის კურიკულუმში დაფიქსირებასთან დაკავშირებით; <u>**რჩევა:**</u> სასურველია, რომ საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში, განსაკუთრებით **დაწყებითი საფეხურის** ბუნებისმეტყველების *ყველა კლასის* კურიკულუმის ჩარჩოში გაიწეროს თემები და სამიზნე ცნებები საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, არ ჰქონდეს ადგილი ერთის მხრივ, რედუცირებას, მეორეს მხრივ, დამატებას. მაგალითისათვის, 1) სტანდარტში ხაზგასმულია „ჰაერი *როგორც გარემო*“, შესაბამისად, მე-2 კლასის კურიკულუმში არ უნდა მოხდეს თემის

	რედუცირეული სახით დაფიქსირება - „ჰაერი“, “წყალი“; 2) სტანდარტის თანახმად, მე-3 კლასში ორი სავალდებულო/სარეკომენდაციო თემაა: 1) ჩემი ქვეყნის ბუნება და 2) მზის სისტემა; მე-3 კლასის სასკოლო კურიკულმში კი წარმოდგენილია ხუთი თემა: 1) მზის სისტემა (სტანდარტის შესაბამისად), 2) თემა “ჩემი ქვეყნის ბუნება” ჩაშლილია დამატებით ოთხ თემად - ყვავილოვანი მცენარეები, ბუნებრივი მოვლენები, სინათლე და სითბო, ძუძუმწოვრები და მათი გარემო (სახელმძღვანელოს თავების მიხედვით); <u>რჩევა:</u> სასურველია, რომ კურიკულუმის შიგნით უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ბმა საკითხთა კლასტერს, შემოქმედებით პროდუქტსა და რესურსებს შორის (შემოქმედებითი პროდუქტის არსებობის შემთხვევაში)
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად სასწავლო წლის მანძილზე ხდება კურიკულუმების მოდიფიცირება. **რჩევა: (ყველა საფეხურზე)** სასურველია კურიკულუმებში აისახოს საათების განაწილება თემების მიხედვით.
უცხოური ენები	შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა** : სასურველია გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა **(სამივე საფეხურზე ინგლისურ და რუსულ ენებში)**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკუკუმები წარმოადგენს პროცესზე ორიენტირებულ პროგრამის გზას, რომელიც ნათლად გვიჩვენებს,თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული დოკუმენტით წარმოდგენილი სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ, შემოქმედებით პროცესში ჩართულობის კარგ შესაძლებლობას

სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმი იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.მაგ.კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები ,რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული. ***რჩევა:****სასურველია ,გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა* ***სამივე საფეხურზე***
მათემატიკა	კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, კომპიუტერი, პროექტორი, პლაკატები, გეომეტრიული სხეულები სივრცითი წარმოსახვისათვის, სახაზავი და საზომი ინსტრუმენტები. კურიკულუმებში ასახულია ცხოვრებისეული პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის მეთოდების შესწავლა.
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული დაგეგმვისა და განვითარების გზას და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. **რჩევა**: სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. **(ყველა საფეხურზე)**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შინაარსი მიჰყვება ეროვნული გეგმის სტრუქტურას და მოიცავს თანამედროვე თემებს: ციფრული წიგნიერება, ინტერნეტ უსაფრთხოება, Scratch პროგრამირება, PowerPoint პრეზენტაცია და სხვა.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*შემივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* *შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები.*

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი *ძირითადად* მიემართება როგორც საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (კვლევა) ფორმირებაზე. საილუსტრაციოდ, მე-9 კლასში ქიმიის სასკოლო კურიკულუმში მე-2 თემის "ნავთობი და მისი პროდუქტები. ბუნებრივი აირი" (და არა რედუცირებული "ნავთობი და ბუნებრივი აირი", როგორც მოცემულია კურიკულუმში) საკითხთან - "პოლიმერები" დაკავშირებით გათვალისწინებულია სამივე სამიზნე ცნების - 1) ნივთიერება, 2) ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, 3) ქიმიური ბმა - დამუშავება; მოცემულია აღნიშნულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით ქვეცნებები (მონომერი, პოლიმერი, პოლიმერიზაციის ხარისხი და ა.შ.) საკითხთან კავშირში; არსებული რესურსები სავარაუდოდ იძლევა საშუალებას მოსწავლეებმა იმსჯელონ პოლიმერების გამოყენების დადებით და უარყოფით ასპექტებზე, კერძოდ, დაგეგმილია შემდეგი რესურსების გამოყენება: ძირითადი სახელმძღვანელო (მოსწავლე ტექსტზე მუშაობს), ვიდეორესურსი, რომელსაც მოსწავლე min. უყურებს, პასუხობს მასწავლებლის კითხვებს, მონაწილეობს დისკუსიაში, გამოთქვამს საკუთარ აზრს, შედის კომუნიკაციაში სხვა მოსწავლეებთან; ავლენს სამოქალაქო კომპეტენციას პოლიეთილენით დაბინძურების ეკოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით, და ა.შ. რაც უფრო <u>მკაფიოდ დადასტურდებოდა</u> კურიკულუმში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კომპლექსური ტიპის დავალების / შემოქმედებითი პროდუქტის შეყვანის შემთხვევაში.

	<u>რჩევა:</u> აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ შემოქმედებითი დავალებები /კომპლექსური ტიპის დავალებები გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის შესწავლისას. ამ ეტაპზე საბუნებისმეტყველო საგნების სასკოლო კურიკულუმებში კლასების მიხედვით წარმოდგენილია მხოლოდ ერთი შემოქმედებითი პროდუქტი სასწავლო წლის მანძილზე, ანუ მხოლოდ ერთი თემის ფარგლებში. სასურველია, გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, ყოველი თემის ფარგლებში დაიგეგმოს თუნდაც ერთი კომპლექსური ტიპის დავალების განხორციელება.(ყველა საფეხურზე) **<u>რჩევა:</u>** სასურველია, შემოქმედებითი პროდუქტის დაგეგმვისას, მკაფიოდ მიეთითოს პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა. მაგალითისათვის, ფიზიკის, მე-7 კლასის კურიკულუმში მოცემულია შემოქმედებითი პროდუქტის ასეთი ფორმულირება: "მოსწავლეები ამზადებენ ფერად კოქტეილს ფიზიკურ პროცესებსა და ფიზიკურ სიდიდეებს შორის დამოკიდებულების ახსნის მიზნით, რის შედეგადაც ჭიქაში ვღებულობს ასეთ სილამაზეს". ამასთან ფერადი კოქტეილის დამზადება უფრო დამოკიდებულებების საჩვენებელ ინსტრუმენტად გვევლინება - ექსპერიმენტია, ხოლო პროდუქტი - ფიზიკურ პროცესებსა და ფიზიკურ სიდიდეებს შორის დამოკიდებულების სქემა (?) - დაზუსტებულ ფორმულირებას მოითხოვს; **<u>რჩევა</u>:** სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, კურიკულუმის თემებთან/ საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო გეგმები (როგორც არამხოლოდ სოციალური პროექტები) საგნობრივ ცოდნაზე აქცენტით; **<u>რჩევა</u>:** სასურველია საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (კვლევა) ფორმირების მიზნით საკლუბო/საწრეო აქტივობების ფარგლებში
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, ასახულია სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, საკითხები, ასევე გათვალისწინებულია პროექტული ტიპის დავალებები. სასწავლო პროცესი ემსახურება გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებას.

	რჩევა: სასურველია თემაში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება - მე და საზოგადოება, ისტორია **(საბაზო საფეხური),** დაზუსტდეს სამიზნე ცნებები **(მოქალაქეობა -საბაზო საფეხური)**. სასურველია ყველა თემაში გათვალისწინებულ იქნას პროექტული ტიპის დავალებები, კურიკულუმებში აისახოს შესასწავლი საკითხები საათების რაოდენობის გათვალისწინებით, გაუმჯობესდეს კურიკულუმის სტრუქტურა, რათა ჩანდეს მიმართებები (სამიზნე ცნება, საკითხი, რესურსები).
უცხოური ენები	შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზანებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენონ ახალი ცოდნა და უნარები. შემოქმედებითი დავალებები ისეა შედგენილი , რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემოქმედებითობა სჭირდება.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკასა და ხელოვნების კურიკულუმების თემებში სრულყოფილად მუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნება-ქვეცნებები. კარგად ჩანს,რომ სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. შემოქმედებითი პროდუქტის სახით წარმოდგენილ დავალებები კი იძლევა ფუნქციური უნარების განვითარების შესაძლებლობებს. **რჩევა** (დაწყებითი; საბაზო;) : კურიკულუმის ჩარჩოში თემაში განსახილველი საკითხის ფორმულირება მოითხოვს მეტ სიცხადეს.საკითხი ჩამოაყალიბეთ ისე, რომ მან შეასრულოს თემის მაორგანიზებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია.
სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესში გააზრებული და გათვალისწინებულია გლობალური ფუნქციური უნარები,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები, რომლებიც მუშავდება შემოქმედებითი დავალებებითა და პროექტებით, ამას ადასტურებს,ინტეგრირებული პროექტის „გარემოზე ზრუნვა ყველას ვალია“ თუ სახელმწიფო ენის კათედრის მიერ განხორციელებული ღონისძიებების რეფლექსიები..

მათემატიკა	მათემატიკაში საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **რჩევა:** (V-VI-VII-IX-X კლ) კურიკულუმზე მუშაობისას გაითვალისწინეთ შემოქმედებით პროდუქტში გამოკვეთილი უნდა იყოს პროდუქტი, რომელსაც ქმნიან მოსწავლეები კონკრეტულ საკითხთან მიმართებით;
სპორტი	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება.
ტექნოლოგიები	კურიკულუმის შინაარსი მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას — გათვალისწინებულია ციფრული წიგნიერება, მოქალაქეობა, პროგრამირება, მულტიმედია, ინტერნეტ–უსაფრთხოება და სხვა თემები. გამოყენებულია აქტუალური ციფრული პლატფორმები (Scratch, PowerPoint, School.emis.ge)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს , მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ თემებს და თემატიკას. დაგეგმილია შუალედური მიზნები.* *რჩევა: დაიგეგმოს უფრო მრავალფეროვანი შუალედური მიზნები, თემის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.*

1. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რჩევები: როგორც კარგი პრაქტიკა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურებზე სამივე საბუნებისმეტყველო საგნის (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) სწავლებისას გამოიყენება რეალური ცდები, რაც ასახულია კურიკულუმის რესურსებში. ამასთან: - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; - სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს <u>შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.); - სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; <u>რჩევა:</u> სასურველია ქიმიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა სასწორი (ტექნოქიმიური, ელექტრონული) გამოყოფილი ჰქონდეს მუდმივი ადგილი; ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; რეაქტივები ინახებოდეს საკეტიან კარადებში; <u>რჩევა:</u> სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება,

	მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების / ლაბორატორიული სამუშაოების *სისტემურ და სისტემატურ* ჩატარებას რჩევა: სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატები) კატალოგი რჩევა: აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტში (საერთო კაბინეტი სამივე საგნისთვის) დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. ამასთან, ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა; რჩევა: სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბუნების მე-3 კლასის კურიკულუმის სატიტულო ნაწილში ძირითადი რესურსი დასახელებული არ არის; ბუნების მე-4 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში ძირითად რესურსზე მოცემულია ჩანაწერი შემდეგი სახით: "ავტორი: სულაკაურის გამომცემლობა ავტორები: მაია ბლიაძე; რუსუდან ახვლედიანი" (კურიკულუმის სტილი დაცულია), და ა.შ. *სასურველია, სახელმძღვანელოს დასახელებისას აკადემიური სტილი იყოს დაცული.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში ასახული რესურსები (სახელმძღვანელო,ელექტრონული რესურსები, სტატიები და სხვა) ძირითადად არის მიზნობრივი,გათვალისწინებულია ასაკობრივი შესაბამისობა. რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მითითებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელო. ასევე ყველა საკითხის შესაბამისი რესურსი.

უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები : გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები ,დამატებითი აუდიო და ვიდეო რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის, ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით . რჩევა: სასურველია კურიკულუმში მიეთითოს ყველა ის მრავალფეროვანი, დამატებითი ციფრული თუ მატერიალური რესურსი , რომელსაც იყენებენ მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესში. (სამივე საფეხურზე ინგლისურ და რუსულ ენებში)
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა მოწმობს,რომ სკოლაში ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად დამხმარე ლიტერატურას, ელექტრონულ რესურსებს. სასწავლო რესურსების სახით გამოყენებულია ბიბლიოთეკა, თეატრი, ისტორიული ძეგლები და სხვ. ეს ყოველივე შეესაბამება გაკვეთილის მიზანს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები:გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები,დამატებითი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
მათემატიკა	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რჩევა: ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები გამომდინარე იქიდან, რომ კურიკულუმებში თემათა ნაწილს მითითებული აქვს დამატებითი რესურსი/რესურსები, სასურველია იმავე პრინციპით იხელმძრვანელოს იმ თემათა შემთხვევაშიც, სადაც დამატებითი რესურსი მწირია, ან საერთოდ არ არის მითითებული; მასწავლებელთა

	გამოცდილება და სკოლის ტექნიკური ბაზა იძლევა აღნიშნული რჩევის გათალისიწნების შესაძლებლობას.
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. რჩევა: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში დაემატოს გრიფირებული სახელმძღვანელოები.
ტექნოლოგიები	დაგეგმილია რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* *დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.*

2. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმები ითვალისწინებს შემოქმედებითი დავალებების განხორციელებას; შემოქმედებითი დავალებების განხორციელება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის წარმართვას დიფერენცირებულ-ინკლუზიური მიდგომით; <u>რჩევა:</u> გაიზარდოს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, შემოქმედებითი დავალებები /კომპლექსური ტიპის დავალებები გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის შესწავლისას. კურიკულუმში მიეთითოს მოსწავლეთა მიერ მოსამზადებელი შემოქმედებითი პროდუქტის ზუსტი ფორმულირება;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში მიმართავენ პროცესის და დავალებების დიფერენცირებას, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტების არჩევანს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
უცხოური ენები	წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს.მასწავლებეთა გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ დოკუმენტებში იკითხება, რომ კათედრა ზრუნავს თითოეული მოსწავლის ჩართვაზე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლების მიერ დაგეგმილი აქტივობებში ნათლად ჩანს სწავლების მრავალფეროვანი, დიფერენცირებული მიდგომები. გამოყენებული რესურსრსები მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე. სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებულ ადაპტირებულ კურიკულუმები ასახავს მოსწავლის შესაძლებლობებსა და ინტერესებს;
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ისგ მონიტორინგის ჯგუფი,გაწერილია სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია დასკვნები. წარმოდგენილი აქვთ ასევე მიმდინარე სასწავლო წელს გამოყენებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული

	კომპლექსური დავალებები.გათვალისწინებულია თიტოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები.
მათემატიკა	მათემატიკის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიური სწავლებ მიდგომებს. სკოლის მიერ შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმი ასე იძლევა მოდიფიცირების საშუალებას, მასში გათვალისწინებული რესურსების და სასწავლ საკითხების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩოში არ ჩა დიფერენცირებული მიდგომა, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებულ სწავლების საკუთარ გამოცდილებაზე და მეთოდებზე, აგრეთვე დეფერენცირების მნიშვნელობაზ დავალებების, შინაარსის, პროდუქტის დიფერენცირების სტრატეგიებზე და წარმოადგინეს ნიმუშებ საკუთარი პრაქტიკიდან, რაც უმეტესწილად აკმაყოფილებს ამ კომპონენტს. რჩევა: ზოგადი განათლების **დაწყებითი, საბაზო და საშუალო** საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებების იდ ყველგან ჩამოყალიბდეს მოკლედ, გამოკვეთონ შემოქმედებითი პროდუქტი და შესაძლებელი იყოს პროდუქტების დიფერენცირება, მოსამზადებელი პროდუქტების არჩევა.
სპორტი	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების ფიზიკურ მომზადებას და სთავაზობენ მათ განსხვავებულ დატვირთვას.

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* *დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.* *რჩევა: სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმში.*

3. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრას შეიმუშავებული აქვს ზოგადი რუბრიკები - პრობლემაზე ორიენტირებული სიტუაციური ამოცანის შეფასების რუბრიკა, მონაცემების განსჯის სქემა, კვლევითი სამუშაოს შეფასების სქემა, და ა.შ. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძვნება გრძელვადიან მიზნებს და საგნობრივ მეთოდურ ორიენტირებს. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სამიზნე ცნებებთან და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. სკოლის მიერ წარმოდგენილია საგნების მიხედვით (ბუნებსიმეტყველება - V, VI კლასები, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზი.

	<u>რჩევა:</u> განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით კონკრეტული საკითხების შესაბამისად
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში შეფასებისათვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება (წერილობითი, ზეპირი). შეფასების მიზანია მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობა, შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ეძლევათ მოსწავლეებს კონსტრუქციული უკუკავშირი. რჩევა: სასურველია განმავითარებელი შეფასებისას მეტად გაითვალისწინონ შედეგების მიღწევის ინდიკატორები.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2024-2025 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდნენ, როგორც საშინაო და მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები უცხოურ ენებში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილი აქვთ რუბრიკები კურიკულუმებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებებისთვის.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრას შეიმუშავებული აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძვნება გრძელვადიან მიზნებს და საგნობრივ მეთოდურ ორიენტირებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე. დასტურდება,რომ სწავლება და შეფასება წარმოადგენს ერთ მთლიან, ერთმანეთისგან განუყოფელ პროცესს. **<u>რჩევა:</u>** (დაწყებითი, საბაზო) სასურველია კათედრამ აქტიურად გამოიყენოს სოლოტაქსონომიაზე დაუძნებული განმავითარებელი შეფასების სისტემა ,რაც მეტად დაგეხმარებათ მოსწავლეთა პროგრესის თვალსაჩინოებისთვის;

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება დასტურდება მოწოდებული რუბრიკებით, რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში ამ ტიპის შეფასების გამოყენებაზე. რჩევა: *სასურველია , განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება ეყრდნობოდეს სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევის ინდიკატორებს და მიემართებოდეს როგორც შუალედურ ,ასევე გრძელვადიან მიზნებს.სასურველია სკოლამ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს , რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს დაწყებითი საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით_შეარჩიოს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.*
მათემატიკა	მათემატიკის საგანში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას. რჩევა- მათემატიკის კათედრის საბაზო და საშუალო საფეხურზე მათემატიკაში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენისას, უმჯობესია გაითვალისწინოთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით და საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები. უმჯობესია განსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნისას, კრიტერიუმები თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიხედვით იქნას შედგენილი. შეფასების რუბრიკები სასურველია გადამუშავდეს და შემოქმედებით დავალებაზე მეტად იყოს მორგებული და მეტად მიემართებოდეს კონკრეტულ სამიზნე ცნებებს. შეფასების რუბრიკების ნაწილი ემყარება სამიზნე ცნებებს, ნაწილი კი უფრო ზოგადი ხასიათისაა. სასურველია, სამივე საფეხურზე, მომავალში კათედრა მთლიანად გადავიდეს ისეთ შეფასების რუბრიკებზე, რომლებიც დამყარებული იქნება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

სპორტი	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს.
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* *დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები . .* *რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებულიიქნება სტანდარტით მისაღწევი შედგები.*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (X , XI , XII კლასები);

- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - შემაჯამებელი დავალების ანალიზი; შემაჯამებებლი დავალება, XI კლასი, ფიზიკა;
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი, კათედრის 2024-2025ს.წ. სამოქმედო გეგმა
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - შეფასების რუბრიკები (ზოგადი, განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - ღონისძიება **„ეკოლოგიური ნაკვალევი“, ანგარიში -** რეფლექსია
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - ვირტუალური დათვალიერების შედეგები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის - კაბინეტი და საპრეპარატორო; ქიმიური რეაქტივები, ლაბორატორიული ჭურჭელი; ორგანოთა მულაჟები, ხელსაწყოები ფიზიკაში

სახელმწიფო ენა:
სასკოლო-სასწავლო გეგმა; საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმები; კათედრის ოქმები;სადამრიგებლო პროგრამა; ინკლუზიური განათლების პროგრამა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ; შეფასების რუბრიკები;
მათემატიკა:*კურიკულუმები;*
კათედრის სხდომის ოქმები;ი.ს.გ. გეგმები მათემატიკაში
სპორტი: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; კათედრის ორმები; კომპლექსური და პრაქტიკული დავალებები.
უცხოური ენები: სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შეფასების რუბრიკები
საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივი კურიკულუმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები, სადამრიგებლო პროგრამა.
შეფასება:
ესთეტიკური აღზრდა: დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კათედრის ოქმები, კათედრის სამოქმედო გეგმა, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები,, შესრულებული დავალებების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალების ანალიზი;ისგ -ს გეგმები; დიფერენცირებული გაკვეთილის გეგმა; განხორციელებული პროექტის მტკიცებულებები - ფოტოები,მოსწავლეთა მიერ შესრულებული პროექტის ნიმუში,-პროექტის გეგმა შეფასების რუბრიკებით-
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები; დავალების ბარათები განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით; სასკოლო სასწავლო გეგმა.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების - ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნის (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის) განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც ასევე ვლინდება

	სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებული ქვეცნებების ანალიზის საფუძველზე; სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები - სახელმძღვანელო, ელექტრონული რესურსები - ტელესკოლის გაკვეთილები, CK-12 რესურსები, ვირტუალური ლაბორატორია (მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კაბინეტი აღჭურვილია პროექტორით), ასევე, არსებობს რეალური ცდებისა და ექსპერიმენტების პრაქტიკა. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს მოსწავლეების კომპლექსური ტიპის დავალებაზე /შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობას, მშობლების ჩართულობას - სამუშაოს გაცნობას ბარათების გადაგზავნით; სასწავლო პროცესის ფარგლებში მოსწავლეები ქმნიან განსხვავებულ შემოქმედებით პროდუქტებს - PP პრეზენტაციებს, მოხსენებებს, მოდელებს, პოსტერებს, ნახატების ალბომებს, მოთხრობებს (მაგ., „პეპელა მონარქის თავგადასავალი“, სხვ.) და ა.შ., ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი და /ან განმსაზღვრელი შეფასება რუბრიკებით და შეფასების ანალიზი; არსებობს კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება, ურთიერთდასწრების პრაქტიკა. <u>რჩევა:</u> კურიკულუმში გაიზარდოს დაგეგმილი შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა, შემოქმედებითი დავალებები /კომპლექსური ტიპის დავალებები გათვალისწინებულ იქნას ყველა თემის შესწავლისას. კურიკულუმში მიეთითოს მოსწავლეთა მიერ მოსამზადებელი შემოქმედებითი პროდუქტის ზუსტი ფორმულირება; <u>რჩევა:</u> საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავდეს ელექტრონული რესურსების - ტელესკოლის გაკვეთილის, ვიდეოექსპერიმენტის და სხვ. “დაკვირვების სამუშაო ფურცელი/ინსტრუქცია”, აღნიშნული სასწავლო რესურსების ეფექტიანი გამოყენების მიზნით <u>რჩევა</u>: სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას და განხორციელდეს ექსკურსიები საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიხედვით, კურიკულუმის თემებთან/ საკითხებთან მიმართებაში რელევანტურ საექსკურსიო ობიექტებზე; შემუშავდეს საექსკურსიო გეგმები (როგორც არამხოლოდ სოციალური პროექტები) საგნობრივ ცოდნაზე აქცენტით;

	<u>რჩევა</u>: სასურველია საკლუბო და საწრეო მუშაობის გააქტიურება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების ფორმირების მიზნით საკლუბო/საწრეო აქტივობების ფარგლებში
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ემსახურება დაგეგმილი კურიკულუმების განხორციელებას, საჭიროებიდან გამომდინარე ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება. სკოლაში ხორციელდება სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი სამუშაოები, ურთიერთდაკვირვება, რაც პროცესს მეტად ორიენტირებულს ხდის შედეგზე. გეგმავენ ექსკურსიებს, შეხვედრებს, სხვადასხვა ღონისძიებებს. კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში შედგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, განსაზღვრულია შუალედური მიზნები,მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს.
ესთეტიკური აღზრდა	.ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი თემები, საკითხები აქტივობები,შესაქმნელი პროდუქტი განაპირობებს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვას. მათში აქცენტი გაკეთებულია ცოდნის კონსტრუირებაზე,წინარე ცოდნაზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის წარმართვაზე, ცოდნათა ურთიერთკავშირზე.

სახელმწიფო ენა	შემუშავებული კურიკულუმი იქმნება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.მაგ.კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები ,რესურსები, მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებითაა შერჩეული.მაგ.მოსწავლეები მონაწილეობენ პროექტებში,ღონისძიებებსა და სასკოლო კონფერენციებში, რაც ხელს უწყობს საგნობრივი კონტექსტების პიროვნული პრიზმიდან დანახვას და ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას.
მათემატიკა	2024-25 სასწავლო წლის პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის წევრები ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში რჩევა: სასურველია კურიკულუმებში ასახული ზოგიერთი შემოქმედებითი პროდუქტის აღწერილობის მოდიფიცირება იმგვარად, რომ კურიკულუმი ითვალისწინებდეს სასწავლო აქტივობებს.
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლება იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეთანხმებულია სკოლის დოკუმენტაციასთან და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეთა საჭიროებებზე დაყრდნობით.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტები ,რომლებიც ითვალისწინებს ადამინური რესურსების მართვის რეგულაციებს. (სკოლის მართვის პოლიტიკა, დებულება, სამსახურებრივი ინსტრუქციები და ა.შ) სადაც აღწერილია თუ როგორ მოხდება ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში და ახორციელებდეს პროცესში (საჭიროების შემთხვევაში) რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. მაგალითად: საჭირების შემთხვევაში მასწავლებლის ჩანაცვლება,სასკოლო კალენდარის მართვა, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება .(თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა;)

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად (გვ.13), მოსწავლეები ფასდებიან როგორც საშინაო და მიმდინარე საკლასო დავალებების, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. საბუნებისმეტყველო საგნებში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. აღსანიშნავია, რომ განმავითარებელი შეფასების წარმოდგენილი რუბრიკები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. კათედრის სხდომაზე მიღებულია შემუშავებული შეფასების ფორმები - შემოქმედებეთი დავალების შეფასების რუბრიკა, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა და სხვ. <u>რჩევა:</u> ამასთან სასურველია, განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები შეიქმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით *კონკრეტული საკითხების* შესაბამისად;
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე, მოსწავლეები და მშობლები იცნობენ შეფასების სისტემას. რჩევა: სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები.

უცხოური ენები	სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა , რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ ზუსტად გაიაზრონ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების პრინციპები და მეთოდები, შეფასების ტიპები და აკადემიური მიღწევების დონეები ასახავს შეფასების სისტემის ვალიდურობას. დოკუმენტაციაში ასახულია შეფასების რუბრიკები,რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებზე. სკოლაში დამკვიდრებული შეფასების კრიტერიუმების და შეფასების კომპონენტებს ცოდნა მოსწავლეთა ცოდნის მობილიზაციის მიზნს ემსახურება,რაც უზრუნველყოფს გამჭირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას; **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო) შეფასების სანდოობისთვის კარგი იქნება მეტად გამოიყენოთ კონკრეტულ საკითხზე, შემაჯამებელ დავალებაზე, თუ შესაქმნელ პროდუქტზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტი.
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ,შემოქმედებითი დავალებების ანალიზის ფორმები. ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი , მაგრამ ზოგადი. *რჩევა:უფრო ვალიდური და სანდო,ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად, კონკრეტულად აღწეროს , რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან,რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება .რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს საბაზო საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით_შეარჩიოს*

	სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.
მათემატიკა	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტებისა და დიაგნოსტიკური თუ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის თანახმად, ჩანს, რომ შეფასების ყველა პრინციპი დაცულია. მეტი ვალიდურობისთვის კი, სასურველია, ცალკეული დავალებებისთვის შემუშავდეს კონკრეტული შეფასების რუბრიკები. რჩევა: სასურველია, კათედრამ გაითვალისწინოს, რომ შეფასების რუბრიკები მომავალში უფრო მეტად იყოს ორიენტირებული გრძელვადიან მიზნებზე და მომავალში ყველა თემის შემაჯამებელ ან შემოქმედებით დავალების რუბრიკებში ყველა სამიზნე ცნების აღქმა-გააზრება შეფასდეს მოცემული საკითხის კონტექსტში. კარგი იქნება თუ სკოლაში ინტენსიურად იმუშავებენ კათედრები შეფასების სისტემის გადამუშავებაზე და შექმნიან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ შეფასების რუბრიკებს.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუდან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი - სიტყვიერი ზეპირი და წერილობითი კომენტარი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან რის მიხედვით ფასდებიან,
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

	სწავლა-სწავლების პროცესში სკოლას გამოყენებული აქვს შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი , წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს შეფასების რუბრიკები კურიკულუმით გათვალისწინებული ცალკეული დავალებებისთვის.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ვერიფიკაციის ამოცანებია: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. სწავლის პროცესი ფასდება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით. მშობელს მოსწავლის შეფასება რეგულარულად ეცნობება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციას სკოლა განახორციელებს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციით. სკოლა 2024-2025 სასწავლო წელს გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები-მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ექსტერნის ტიპისა და სემესტრული გამოცდის ჩატარება (მოსწავლის მოთხოვნის შესაბამისად).ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

კანონდებლობის წესის დაცვით შენახულია მოსწავლის პირადი საქმეები. სკოლაში კათედრებზე შენახულია მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი/შემოქმედებითი დავალებები. დირექტორის მოადგილეებთან ინახება მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლესთან მიღწეული შედეგების ანალიზი. სკოლა იცავს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:

- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - სასკოლო სასწავლო გეგმა, დამტკიცებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ, №1, 09.09.2024წ.
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - ვერიფიკაციის მექანიზმი, 2025
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (X , XI , XII კლასები);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - შემაჯამებელი დავალების ანალიზი; შემაჯამებებლი დავალება, XI კლასი, ფიზიკა;
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი №2, 12.11.2024წ. (დანართი 2,3); კათედრის 2024-2025ს.წ. სამოქმედო გეგმა
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - შეფასების რუბრიკები (ზოგადი, განმავითარებელი, განმსაზღვრელი);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - ღონისძიება „ეკოლოგიური ნაკვალევი“, ანგარიში - რეფლექსია
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - ვირტუალური დათვალიერების შედეგები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის - კაბინეტი და საპრეპარატორო; ქიმიური რეაქტივები, ლაბორატორიული ჭურჭელი; ორგანოთა მულაჟები, ხელსაწყოები ფიზიკაში

სახელმწიფო ენა:
სასკოლო-სასწავლო გეგმა; საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმები; კათედრის ოქმები;სადამრიგებლო პროგრამა; ინკლუზიური განათლების პროგრამა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ; შეფასების რუბრიკები;

უცხოური ენები: სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შეფასების რუბრიკები, კათედრის ოქმები
ესთეტიკური აღზრდა: დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კათედრის ოქმები, კათედრის სამოქმედო გეგმა;
საზოგადოებრივი მეცნიერებები: შეფასების რუბრიკები, საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმი
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: საგნობრივი კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კათედრის ოქმები,

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რჩევები: როგორც კარგი პრაქტიკა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურებზე სამივე საბუნებისმეტყველო საგნის (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) სწავლებისას გამოიყენება რეალური ცდები, რაც ასახულია კურიკულუმის რესურსებში. ამასთან: - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; - სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს <u>შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);

	- სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; <u>რჩევა:</u> სასურველია ქიმიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა სასწორი (ტექნოქიმიური, ელექტრონული) გამოყოფილი ჰქონდეს მუდმივი ადგილი; ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; რეაქტივები ინახებოდეს საკეტიან კარადებში; <u>რჩევა:</u> სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების / ლაბორატორიული სამუშაოების *სისტემურ და სისტემატურ* ჩატარებას <u>რჩევა:</u> სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატები) კატალოგი <u>რჩევა:</u> აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტში (საერთო კაბინეტი სამივე საგნისთვის) დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. ამასთან, ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა; <u>რჩევა:</u> სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბუნების მე-3 კლასის კურიკულუმის სატიტულო ნაწილში ძირითადი რესურსი დასახელებული არ არის; ბუნების მე-4 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში ძირითად რესურსზე მოცემულია ჩანაწერი შემდეგი სახით: “ავტორი: სულაკაურის გამომცემლობა

	ავტორები: მაია ბლიაძე; რუსუდან ახვლედიანი” (კურიკულუმის სტილი დაცულია), და ა.შ. *სასურველია, სახელმძღვანელოს დასახელებისას აკადემიური სტილი იყოს დაცული.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გრიფირებული სახელმძღვანელოებთან ერთად გამოიყენება ციფრული რესურსები, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები (დამატებითი ლიტერატურა, რუკები, გლობუსები, სქემები, ფოტომასალა). უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები მოსწავლეთათვის თანაბრად ხელმისაწვდომია.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები რჩევა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში აისახოს ყველა ის დამატებითი რესურსი რომლებსაც მასწავლებლბი იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი კურიკულუმები,ასევე კათედრის სამოქმედო გეგმა და კათედრის ოქმები მოწმობს, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. ამასთან ერთად მასწავლებლები აქტიურად მიმართავენ სხვა დამატებით რესურსებს, როგორებიცაა მასწავლებელთა სახლის და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული დამხმარე მასალები. მრავალფეროვანია დამხმარე რესურსების გამოყენება დაწყებით და საბაზო საფეხურებზე განხორციელებულ პროექტებში. აგრეთვე საშუალო საფეხურის პროექტული სწავლებისას;
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელო,სწავლა-სწავლების პროცესში ჩანს დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება სქემების,მედიატექსტებისა თუ დამატებითი საკითხავის სახით. კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა რესურსი ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.
მათემატიკა	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია,

	გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა.
სპორტი	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსე ბა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითად რესურსთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსებით, რაც ფიქსირდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმებში; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა/განხილვას და დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას;

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დამხმარე რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე, გათვალისწინებული ცალკეული საგნების საჭიროება და მოსწავლეთა ინტერესები. გათვალისწინებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროება.
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გაათვალისწინებით.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ძირითად რესურსებთან ერთად უზრუნველყოფილია დამხმარე რესურსით, წარმოდგენილი კათედრის ოქმებსა და სამოქმედო გეგმით დასტურდება დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი სასკოლო-სასწავლო გეგმის,სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების II თავის-საგნობრივი კათედრის დებულების თანახმად,სკოლა დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს საგნობრივი კათედრის შეხვედრებით. მასწავლებელთა და მოსწავლეთა უკუკავშირი რესურსის გამოყენების შემდეგ,პრაქტიკაში გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაზიარება უზრუნველყოფს დამხმარე რესურსის ვალიდაციას.
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად.
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს

	უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* *დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა ერთობლივად დაწყებითი კლასების პედაგოგების მიერ მოსწავლეების საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით.*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რჩევები: როგორც კარგი პრაქტიკა, აღსანიშნავია, რომ სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურებზე სამივე საბუნებისმეტყველო საგნის (ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია) სწავლებისას გამოიყენება რეალური ცდები, რაც ასახულია კურიკულუმის რესურსებში. ამასთან: - სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიული მოწყობილობების და მასალების/ქიმიური რეაქტივების, ფიზიკური ხელსაწყოების *შეძენა-შევსებას* რეალური სადემონსტრაციო და სასწავლო ცდებისა და ექსპერიმენტებისათვის; - სასურველია, ფიზიკის მოწყობილობებს <u>შენახვის ადგილების, სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები (მექანიკური, სითბური, ოპტიკური მოვლენების, ელექტრობის შესასწავლად და სხვ.);

	- სასურველია, ბიოლოგიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა ორგანოთა მულაჟები, ჰერბარიუმები, სხვადასხვა კოლექციები, <u>შენახვის ადგილების</u> <u>და /ან სასწავლო /ექსპერიმენტული ამოცანების მიხედვით</u> გაუკეთდეს შესაბამისი წარწერები; <u>რჩევა:</u> სასურველია ქიმიის ისეთ რესურსებს, როგორიცაა სასწორი (ტექნოქიმიური, ელექტრონული) გამოყოფილი ჰქონდეს მუდმივი ადგილი; ქიმიური რეაქტივები ორგანიზებული იყოს შენახვის ჯგუფების მიხედვით/კლასების მიხედვით (მარტივი ნივთიერებები - ლითონები და არალითონები; არაორგანული ნივთიერებები ნაერთთა კლასები - ოქსიდები, მჟავები, ტუტეები/ფუძეები, მარილები; ორგანული ნივთიერებები); დამზადებულ ხსნარებს ჰქონდეთ ეტიკეტები; რეაქტივები ინახებოდეს საკეტიან კარადებში; <u>რჩევა:</u> სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით რეალური ექსპერიმენტების კართოთეკა (ბარათზე: ცდის/ლაბ.სამუშაოს დასახელება, მასალები/რეაქტივები, მოწყობილობები, სამუშაოს პროტოკოლი/მსვლელობა), რაც ხელს შეუწყობს სკოლის პირობებში რეალური ცდების / ლაბორატორიული სამუშაოების *სისტემურ და სისტემატურ* ჩატარებას <u>რჩევა:</u> სასურველია, მომზადდეს საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და კლასების მიხედვით არსებული თვალსაჩინოებების (პლაკატები) კატალოგი <u>რჩევა:</u> აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტში (საერთო კაბინეტი სამივე საგნისთვის) დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. ამასთან, ქიმიური ცდების მიმდინარეობისას მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია, დამონტაჟდეს გამწოვი კარადა; <u>რჩევა:</u> სასურველია, რომ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოში, სატიტულო ნაწილში დასახელდეს ძირითადი რესურსი - გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დასახელებისას დაცულ იქნას ერთიანი მიდგომა (სრული რეკვიზიტების - დასახელების, ავტორების, გამომცემლობის, წლის მითითებით); ამ ეტაპზე, მაგალითისათვის, ბუნების მე-3 კლასის კურიკულუმის სატიტულო ნაწილში ძირითადი რესურსი დასახელებული არ არის; ბუნების მე-4 კლასის კურიკულუმში სატიტულო ნაწილში ძირითად რესურსზე მოცემულია ჩანაწერი შემდეგი სახით: “ავტორი: სულაკაურის გამომცემლობა

	ავტორები: მაია ბლიაძე; რუსუდან ახვლედიანი" (კურიკულუმის სტილი დაცულია), და ა.შ. *სასურველია, სახელმძღვანელოს დასახელებისას აკადემიური სტილი იყოს დაცული.*
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმებში ასახული მატერიალური და ციფრული რესურსები ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხდება მათი გამრავალფეროვნება კონკრეტული კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. ხელმისაწვოდმია კომპიუტერები, პროექტორი, უზრუნველყოფილია ინტერნეტზე წვდომა. რესურსები თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის.
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით-გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, კომპიუტერით, პროექტორი და ინტერნეტთან წვდომით
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსიკაში საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით,აუდიო და ვიდეო საშუალებები(კომპუტერი პროექტორი , მუსიკალური ცენტრი, ხმის გამაძლიერებელი და სხვ, ელექტრონულ რესურსები),რომლებიც შეესაბამება გაკვეთილის მიზანს და მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებზე.
სახელმწიფო ენა	სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს სასწავლო მასალებითა და ტექნოლოგიებით: ძირითადი სასწავლო რესურსით-გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, გრაფიკული ორგანიზატორებით, ციფრული რესურსებით, კომპიუტერით,პროექტორით,ინტერნეტთან წვდომითა და ინკლუზიური მასალებით.
მათემატიკა	კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლაში საკლასო სივრცე მოწყობილია უსაფრთხო და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული გარემოთი, დაცულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას და მოსწავლის ინდივიდუალურ ჩართულობას.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში.

	რჩევა: სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის და ფეხბურთის ბურთები, რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას.
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას გააჩნია ძირითადი ტექნიკური საშუალებები (კომპიუტერი, პროექტორი, ინტერნეტი), რაც ხელს უწყობს დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას სკოლაში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულია 19 პედაგოგი. (3 წამყვანი მასწავლებელი, 15 უფროსი მასწავლებელი და 1 სპეც.მასწავლებელი).

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია და პედაგოგები უზრუნველყოფენ სასკოლო კურიკულუმის დანერგვა განხორციელებას. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მონიტორინგს უწევს სასკოლო კურიკულუმის მიმდინარეობას, პასუხისმგებელია მის შესრულებასა და შეფასებაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის გრძანება.*
- *ESCOOL-ის გაზა*
- *პედაგოგთა პირადი საქმეები*

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - ვირტუალური დათვალიერების შედეგები: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, ქიმიური რეაქტივები, ლაბორატორიული ჭურჭელი; ორგანოთა მულაჟები, მიკროსკოპები, ხელსაწყოები ფიზიკაში
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები კლასების მიხედვით (I- VI კლასები);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საბაზო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (ყველა შესაბამისი კლასის მიხედვით);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საშუალო საფეხურის საგნობრივი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები (X , XI , XII კლასები);
- სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირის საჯარო სკოლა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი, კათედრის 2024-2025ს.წ. სამოქმედო გეგმა

სახელმწიფო ენა: *სასკოლო-სასწავლო გეგმა; სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერის დოკუმენტი, საგნობრივი (ქართული ენა და ლიტერატურა) კურიკულუმები; კათედრის ოქმები;სადამრიგებლო პროგრამა;ინკლუზიური განათლების პროგრამა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ; შეფასების რუბრიკები;*

სპორტი: დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები; განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; კათედრის ორმები; კომპლექსური და პრაქტიკული დავალებები; სპორტული ინვენტარის ამსახველი ფოტომასალა.
უცხოური ენები: სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, შეფასების რუბრიკები, კათედრის ოქმები
ესთეტიკური აღზრდა:
საზოგადოებრივი მეცნიერებები: საგნობრივი კურიკულუმები, სასკოლო-სასწავლო გეგმა;

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები,კათედრის ოქმები.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

   კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:1.მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის

პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2.სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); 3.სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).სამომავლოდ სკოლა გეგმავს დავხეწოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით, რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კათედრებმა წარმოადგინეს მონიტორინგის ფორმები , რეფლექსიისა და თვითშეფასების ფორმები,რომლებშიც იკვეთება პრობლემის აღმოჩენა და გადაჭრის გზების დასახვა.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით,მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიზნით. სკოლის მასწავლებლები მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა მოხდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა, იკვეთება პედაგოგთა ღიაობა და მზაობა მიიღონ რჩევები და მითითებები მათივე პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწის მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

· სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- კათედრების ოქმები
- პედაგოგთა თვითრეფლექსია
- ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების ფორმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

კოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი დაშეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასწავლო პროცესის /კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს დირექცია, საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის ჯგუფი, სკოლის მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. დანერგილია გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების პრაქტიკა. პედაგოგები აკეთებენ თვითშეფასებას და სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ ერთმანეთის შედეგებს. შემუშავებულია კონკრეტული რუბრიკები. დროგამოშვებით კეთდება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა.ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს სამომავლოდ ელექტრონული კითხვარების დამზადებას, რაც მეტი ობიექტურობისა და მონაცემების შენახვსი შესაძელობლობას მისცემს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში დანერგილია მშობლებთან შეხვედრებისა და საჭიროებების განხილვის პრაქტიკა. მსგავს შეხვედრებზე აქცენტი კეთდება ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე,როგორიცაა სასკოლო სივრცე, გარემო, დამოკიდებულებები.ამ ეტაპზე სკოლის შედეგებისა და სასწავლო პროცესების შეფასების მონაცემები არის დამრიგებელთა და პედაგოგთა ჩანაწერები, თუმცა სამომავლოდ იგეგმება კითხვარების გაკეთება, რომელშიც ჩაერთვება სასკოლო საზოგადეობა და თემი, რათა შეფასებისას გათვალისწინებული იქნას ყველა კონტექსი და მიმართულება.

შეფასება ხორცილდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ამ ეტაპისათვის სკოლა სასწავლო პროცესების შეფასების ზეპირი გამოგკითხვის, გასაუბრებების-ინრვიურების მეთოდს იყენებს. პედაგოგებს აქვთ პირად დღიურებში ჩანაწერები,რომელთა ანალიზსაც იყენებენ წლის ბოლო ანგარიშებში. კლასის საათებზე ხდება მოსწავლეთა გამოკითხვა,მათი საჭიროებებისა და ინტერესების დადგენა, მშობლებთან შეხვედრებზე განიხილება პრობლემური საკითხები. ხდება აღნიშნული მონაცემების გაანალიზება.სკოლა სამომავლოდ გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებას და მონაცემთა შეგროვების პროცესის დახვეწას.

4. შეფასება ხორციელდება სხავდასხვა ფაქტორების გათვალისწინებით

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები და მონაცემები როგორიცაა : მოსწავლეთა ინტერვიურების შედეგები, მშობელთა გამოკითხვის შდეგები, კოეგების ურთიერთდასწრებისა და საგაკვეთილო პროცესებზე დაკვრიევბის შედეგები,რასაც სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს სკოლის ადმინისტრაცია და ანალიზისას გამოკვეთილ საჭიროებებს გამოიყენებს მომავალი სასწავლო წლის დასაეგეგმად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპიან ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). განვითარების ეტაპი გულისხმობს ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრის სხდომაზე განიხილავენ ურთიერთდასწრების გაკვეთილებს. ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულ უმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. კათედრების ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: კერძოდ, შემოქმედებითი პროდუქრის შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 17.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თამთა კვარაცხელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის	წევრების ხელმოწერები:
სახელი და გვარი:		
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი **სოფიო დუმბაძე**		
თეონა მაცაბერიძე(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)		თ მაცაბერიძე
ეთერი ხობუა(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)		ე. ხობუა

ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ელისო ვადაქარია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

მაკა ინაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ირინა გოგონაია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)